აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№63 (25.087) შაბათი, 17 - 19 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 755 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის მზადებასთან დაკავშირებით ბიუჯეტიდან 100 მლნ ლარი გამოიყოფა, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისივე თქმით, ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის უზრუნველსაყოფად თბილისსა და ბაკურიანში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, კერძოდ, ბიატლონის და თხილამურებით რბოლის მოედანი, ასევე, თბილისში აშენდება ყინულის სასახლე და სხვა ინფრასტრუქტურა. აღნიშნული მიზნით, წელს 25 მლნ ლარი უკვე გამოყოფილია.

* * *

მეზობელ ქვეყნებთან მიმართებით საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია დაბალანსებულ, პარტნიორულ ურთიერთობებზე და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში სიტყვით გამოსვლისას. ილია დარჩიაშვილმა „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივის“ ფარგლებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გადადგმულ ნაბიჯებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ პროცესში მკაფიოდ იკვეთება „საქართველოს ბუნებრივი როლი რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.

* * *

ოპოზიციონერმა დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, „თავისუფალი ტრიბუნის“ ფორმატში სიტყვით გამოსვლისას, პარლამენტის წევრებს შესთავაზა, ნატოს წევრ ქვეყნებს, ვილნიუსის სამიტის წინ, ერთობლივი მიმართვა გაუგზავნონ. მისი თქმით, „მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა პარტნიორებმა პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა, უკრაინასთან ერთად საქართველოსაც გამოუცხადონ, იმ ფონზე, როდესაც არის ინფორმაცია, რომ სამიტზე საქართველო უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე არ იქნება წარმოდგენილი“.

* * *

მიუხედავად ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ვაპირებ ძალიან აქტიურად ჩართვას ქართულ პოლიტიკაში, უკრაინაში ჩართულობის პარალელურად, - წერს სოციალურ ქსელში ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მიზეზად აჭარის უმაღლესი საბჭოს 15 ივნისის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებებს ასახელებს. „ბოლო წვეთი იყო იმ მოღალატეების აღლუმი, რომელიც ვიხილე გუშინ აჭარის უზენაეს საბჭოში“, - აცხადებს საპატიმროში. მისივე თქმით, ყველა იმ სასამართლო პროცესს დაესწრება, სადაც მისვლას ფიზიკურად შეძლებს.

მოამზადა
ია შველიძემ

ვახტანგ (ტუხა) ქორიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

შარშან „აჭარაბეთმა“ საფუძველი ჩაუყარა ვარსკვლავთა ხეივანს, როცა „აჭარაბეთ არენაზე“ რეზო ჩელებაძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ახალი ტრადიცია გრძელდება. გუშინ მეორე ვარსკვლავი ცნობილ ფეხბურთელ ვახტანგ (ტუხა) ქორიძეს გაუხსნეს.

ტუხა ქორიძე სხვადასხვა დროს იცავდა ბათუმისა და თბილისის „დინამოების“, ლანჩხუთის „გურიის“ ღირსებას. იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ვიცეჩემპიონი, ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი და ფინალისტი (თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში), საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენისა და საქართველოს სპორტის რაინდის წოდების მფლობელი. ამჟამად ის საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტია.

გახსნის ცერემონიას დაესწრნენ ვეტერანი ფეხბურთელები, მისი კოლეგები, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან.

მათ შორის გახლდათ რეზო ძოძუაშვილი, ნოდარ ხიზანიშვილი, ოთარ გაბელია... ვახტანგ ქორიძეს ვარსკვლავის გახსნა მიულოცეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ...

„აჭარაბეთმა“ ვახტანგ ქორიძეს საჩუქრად 10 000 ლარი გადასცა.

- ძალიან დიდი მადლობა ჩემს ბათუმს, აჭარას, რომ ასეთი დღესასწაული მომიწყვეს, ეს ყველაზე ლამაზი დღე იქნება ჩემს ცხოვრებაში. მადლობა ყველას, ვინც ამ ვარსკვლავის გახსნაში მონაწილეობდა, - თქვა ვარსკვლავის გახსნის შემდეგ ტუხა ქორიძემ.

თორნიკე რიჟვაძე: კანდიდატის სტატუსიც, ევროპული პერსპექტივაც გვჭირდება იმისთვის, რომ ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, როგორც აქამდე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში პლენარული სხდომა გაიმართა, რომელზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მთავრობის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა

ვიდრე, უშუალოდ, პლენარულ სხდომაზე ვისაუბრებთ, ქრონოლოგიურად გავყვეთ მოვლენების განვითარებას. სანამ თორნიკე რიჟვაძე უმაღლეს საბჭოში მოვიდოდა, საკანონმდებლო ორგანოს შენობასთან ტრანსპარანტებით - „ზეწოლის მსხვერპლი ნუგზარ ფუტკარაძე“, „რატომ დუმს მთავრობა?“, „არ შეგრჩებათ ნუგზარ ფუტკარაძის მკვლელობა“ „ნაციონალური მოძრაობისა“ და ნუგზარ ფუტკარაძის ოჯახის წევრები შეიკრიბნენ.

- ქვეყანა არის რუსული ოცნების ხელში, აჭარა არის ნუგზარ ფუტკარაძის მკვლელების ხელში. დროა, თორნიკე რიჟვაძემ ჩაგვაბაროს ანგარიში, რამდენი წაიღო სახლში ბიუჯეტიდან, რამდენი ადამიანის სიკვდილია საჭირო, რომ შეინარჩუნოს თანამდებობა. სადაც მივა, დისკომფორტს შეუქმნით, არ მივცემთ საშუალებას, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე იყოს, ეჯდეს ხალხს თავზე და ჭამდეს ხალხის ბიუჯეტს, - განაცხადა ნუგზარ ფუტკარაძის დამ ნაზი ფუტკარაძემ, რომელიც ძმის გარდაცვალებაში დღევანდელ მთავრობას ადანაშაულებს.

ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა აქციის მონაწილეებს, რომლებიც უმაღლესი საბჭოს შენობის გალავანთან იდგნენ, გვერდზე გასვლა მოსთხოვეს, რათა სამთავრობო ავტომანქანებს მისცემოდათ ეზოში შესვლის შესაძლებლობა. აქციის მონაწილეები მთავრობის თავმჯდომარის გამოჩენას შეხვდნენ შეძახილებით: „ქართული ოცნება“ კლავს“, „ბიძინას მონებო“, სცადეს საკანონმდებლო ორგანოს ეზოში შესვლა, თუმცა დაცვამ მათ ამის შესაძლებლობა არ მისცა.

პლენარულ სხდომას, „ქართული ოცნების“ დეპუტატებთან ერთად, მრავალთვიანი პაუზის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებიც დაესწრნენ. მოგეხსენებათ, ისინი ბოიკოტის გამო უმაღლესი საბჭოს სხდომებს არ ესწრებიან. სხდომა, წესისამებრ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ გახსნა. დავით გაბაიძემ კოლეგებს, როგორც მმართველი გუნდიდან, ასევე ოპოზიციიდან წარმატებები უსურვა და მოუწოდა, შეენარჩუნებინათ მაქსიმალური სიმშვიდე, ერთმანეთის მიმართ კორექტულობა, ამასთან, შეახსენა, რომ სხდომა პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და უპრიანი იქნებოდა, საზოგადოებას ენახა იმ რეალურ საკითხებსა თუ გამოწვევებზე მსჯელობა, რაც ქვეყნის და, კონკრეტულად, რეგიონის წინაშე დგას და არა ურთიერთდაპირისპირება, რაც, მისივე თქმით, ზოგადად, საზოგადოების თვალში არცერთ მხარეს არ აყენებს სახარბიელო მდგომარეობაში. დღის წესრიგის მიხედვით, პლენარული სხდომა განცხადებებით დაიწყო. პირველმა სიტყვა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა მოითხოვა. მან ყურადღება ჩვენს ქალაქში დიდი რაოდენობით შემოსულ რუსი ეროვნების ადამიანებზე გამახვილა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ დღითიდღე უკონტროლო ხდება მდგომარეობა.

- რეგიონში უკვე გაუსაძლისია მდგომარეობა, ქალაქში რომ გაიაროთ, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილში და საღამოს საათებში, 50 კაცში 3 ქართველს თუ შეხვდებით. აქ არ არის საუბარი ტურისტზე, პირიქით, რაც მეტი ტურისტი შემოვა, მისაღებია. საუბარია ოკუპანტი ქვეყნის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც აქ ცხოვრობენ ერთი და ორი წელია, რომლებმაც შეიძინეს უძრავი ქონება, ფლობენ კაფეებს, რესტორნებს, სილამაზის სალონებს და ასე შემდეგ, სადაც დასაქმებული ჰყავთ მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც არიან შემოსული ყოველგვარი კონტროლისა და დამცავი მექანიზმების გარეშე. ასევე, მინდა შევეხო ევროკავშირის თემას. მესმის პარტიული ინტერესები, მესმის პოლიტიკური დღის წესრიგი, მაგრამ დღეს, როცა რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანას გაეხსნა ფანჯარა, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს, მიიღოს კანდიდატის სტატუსი, არ შეიძლება, პატრიოტი ქართული ხელისუფლება ასე იქცეოდეს, ყველა ნაბიჯს დგამდეს იმისათვის, რომ კარი ჩაიკეტოს. რამდენიც არ უნდა ეცადოთ, რომ ეს კარები ჩაკეტოთ, ვერ მოახერხებთ, ხალხი ამის საშუალებას არ მოგცემთ, ვერ გამოურეცხავთ ქართველ ხალხს აზროვნებას და სურვილს, მიიღოს ის სიკეთე, რომელიც ევროპასა და ამერიკაშია, - განაცხადა ელგუჯა ბაგრატიონმა.

„როდის იყო სამშობლოს სიყვარული და ღირსება ქართველი კაცის კუჭზე გადიოდა?“ - იკითხა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მედეა ვასაძემ და დასძინა, რომ მას ტურისტების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა ტურიზმის სახელით არ შეიძლება ამდენი უფლება მივცეთ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც ქართველების სისხლში აქვთ ხელები გასვრილი. თავის გამოსვლაში საქართველოს ევროატლანტიკურ კურსსა და ქვეყნის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე გაამახვილა ყურადღება კიდევ ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი კირთაძემ. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები შეეწირნენ ისტორიულ მიზანს, გვეცხოვრა იმ ოჯახში, სადაც არის ჩვენი ბუნებრივი ადგილი.

იხ. გვ-4 გვ.

ვის უწოდა ლაჩარი თორნიკე რიჟვაძემ?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ჩვენი ჯარისკაცები გმირები არიან, იყვნენ და იქნებიან, ლაჩარი თქვენი ბელადი საკაშვილია," აღნიშნული სტატუსი თავის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გამოაქვეყნა. უმაღლესი საბჭოს მმართველი გუნდის დეპუტატების განცხადებით, ოპოზიციის მცდელობა, რომ თორნიკე რიჟვაძის ნათქვამი ომთან დაკავშირებით თავიანთი ინტერპრეტაციით წარმოეჩინათ საზოგადოებისთვის, ფუჭია.

- მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის" წევრს მოუვა თავში ასეთი რამ, კაცს დააბრალოს, თითქოს მან თქვა, რომ ქართულმა ჯარმა ლაჩრულად წააგო ომი. ბუნებრივია, ეს არის კონტექსტიდან ამოგლეჯილი დეზინფორმაცია. მთავრობის თავმჯდომარემ იგულისხმა ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ საკაშვილის ლაჩრული ქმედება ომის დროს, კონკრეტულად საუბარი იყო გორის ინციდენტზე. იმავე კონტექსტში იყო ნათქვამი ის, რომ ომის შემდეგ მიხეილ საკაშვილმა გააუქმა სავიზო რეჟიმი რუსეთთან. ყველა დანარჩენი ინფორმაცია, რაც დღეს „ნაციონალურმა მოძრაობამ" გაავრცელა იყო სიცრუე, - განაცხადა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატმა მმართველი გუნდიდან ვლადიმერ მგალობლიშვილმა.

ამავე საკითხზე კომენტარი გააკეთა დეპუტატმა ტიტე არაშიძემაც: - „ნაციონალური მოძრაობის" მცდელობა, უკუღმა წარმოაჩინოს მოვლენები ყველანაირ ასპექტში, ყველა ზღვარს ცდება. მინდა გითხრათ, ის რაც გუშინ ბატონმა თავმჯდომარემ ბრძანა, ლაჩარი მხედართმთავრის მიერ ომის წაგებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ეს არაჯალია. ყველამ იცის, მიწაზე ფორთხვით როგორ ემალებოდა ლაჩარი პრეზიდენტი რუსულ თვითმფრინავებს მაშინ, როდესაც საერთაშორისო დელეგაციასთან ერთად იყო. დღეს სამთავრობო ინფორმაციებში გავრცელდა, რომ აქ იყო საუბარი მიხეილ საკაშვილზე, არა ბატონებო, უფრო მეტიც, მხოლოდ მიხეილ საკაშვილზე კი არ იყო საუბარი, არამედ მიხეილ საკაშვილის იმდროინდელ გუნდზეც - ეს იყო კეზერაშვილი, უგულავა, მერაბიშვილი, რომლებიც თავისი სიმხდალით ცდილობდნენ გაემართლებინათ შემდგომ ის სიტუაცია, რაშიც აღმოჩნდა მთლიანად საქართველო. რა თქმა უნდა, ვაფასებთ და ვამაყობთ ჩვენი გმირებით, მათ მიერ დაწერილი გმირული ისტორიებით, თითოეული ქართველის გულში მათ ღირსეული ადგილი უჭირავთ. მცდელობა იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" წარმოაჩინოს, თითქოს მთავრობის თავმჯდომარემ მხდალი და ლაჩარი უწოდა იმ ადამიანებს, ვინც იბრძოდა 2008 წლის ომში, სრულ სიცრუეზეა დამყარებული. „ნაციონალური მოძრაობა" ცდილობს კიდევ ერთი ბინძური პიარკამპანიის წამოწევას. მინდა მათ ვუთხრა, ბატონებო, არ გამოგივათ არცერთი მცდელობა, რომ ჩვენს ამომრჩეველზე ზეგავლენა მოახდინოთ. მოსახლეობამ ყველაფერი ისე გაიგო, როგორც საჭიროა. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობის" მცდელობა კრახით დასრულდა, - განაცხადა ტიტე არაშიძემ.

„ლელო" ბოდიშის მოხდას მოითხოვს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„გაზრდილია ვიზიტიორთა რაოდენობა და ამ ხვედრით წილში, მათ შორის, იმ ქვეყნის მოქალაქეებიც არიან, რომლებსაც 2008 წელს, ლაჩრულად წაგებული ომის შემდეგ, საკაშვილის ხელისუფლებამ მწვანე აუნთო, ყვავილებ-

ითა და ქართული ღვინით ხელში შეეგება აგრესორი ქვეყნის წარმომადგენლებს", - უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას სხდომაზევე მოჰყვა ოპოზიციონერი დეპუტატების უკმაყოფილება. პარტია „ლელოს" ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე გენო თებიძემ კი გუშინ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ ქართველი მებრძოლების შეურაცხყოფისთვის, რომლებიც აგვისტოს ომში იბრძოდნენ, მთავრობის თავმჯდომარემ ბოდიში უნდა მოიხადოს, მეტიც, ის უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან.

- ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიო ქართული ჯარი, ის ადამიანები, რომლებიც 2008 წელს იბრძოდნენ, არის სამარცხვინო, - განაცხადა გენო თებიძემ. მისი თქმით, მთავრობის თავმჯდომარის აღნიშნული განცხადება იყო დიდი შეცდომა, რომლის გამოსწორებაც გაუჭირდება.

- ვისურვებდი, მან გაიაზროს ეს შეცდომა და ბოდიში მოიხადოს იმ მებრძოლების წინაშე, ვის ბრძოლასაც ლაჩრული უწოდა. იმ ადამიანებისგან, რომლებიც ჩვენს მტრებს ელარჯს უწელავენ და აჭარულ ხაჭაპურში კვერცხს თავისი ხელით უთქვეფენ, გასაკვირი აღარაფერია, ვგულისხმობ „ქართული ოცნების" გუნდს. ეს ყველაფერი არის ჩვენი ღირსების საკითხი და ადამიანები, რომლებიც დღეს ისევ ქართულ ჯარს წარმოადგენენ, მჯერა,მოითხოვენ პასუხს ამ არაკომპეტენტურ განცხადებაზე, - აღნიშნა გენო თებიძემ.

უანგარო დონორის მსოფლიო დღე –აჭარაში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

უანგარო დონორის მსოფლიო დღე, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალური კამპანიის ნაწილია

ამ დღესთან დაკავშირებით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, ტრადიციულად, სისხლის უანგარო დონაციის აქციაში ჩაერთნენ.

სისხლის ბანკში გამართულ ღონისძიებას, რომელიც, დონაციის აქციის პარალელურად, დონორებისთვის მადლიერების გამოხატვას მიეძღვნა, მინისტრი ნინო ნიჟარაძე მოადგილეებთან და აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

- სისხლის დონორის მსოფლიო დღე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით სხვადასხვა ქვეყანაში აღინიშნება და მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დონაციის მნიშვნელობის შესახებ. ჩვენ ვიმყოფებოდით სისხლის ბანკში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით თითქმის ყველა სამედიცინო დაწესებულებას ემსახურება. იქ იმყოფებოდნენ დონორები, რომლებიც წლების განმავლობაში უანგაროდ გასცემენ სისხლს და მათ მადლიერების ნიშნად სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. მადლობას ვუხდი ყველა მათგანს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის! საზოგადოებას შევახსენებ, რომ დონაცია გვჭირდება სიცოცხლის გადასარჩენად და ყველამ უნდა გავიაზროთ ამის მნიშვნელობა. ყველა ჩვენგანს სისხლის გაღებით შეუძლია, სიცოცხლე აჩუქოს სხვა ადამიანს! - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

დონაციის მსოფლიო დღის აღნიშვნას შეუერთდა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიც, ასევე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, აჭარის სამმართველოსთან ერთად. ქალაქის სხვადასხვა ადგილას დონაციის აქციებიც გაიმართა. დღის განმავლობაში 160-ზე მეტმა დონორმა უანგაროდ გაიღო სისხლი სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. დონაციის აქციებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზღვაო აკადემიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მიმდინარე წლის კამპანიის მიზნებია: მადლიერების გამოხატვა ყველა იმ დონორის მიმართ, რომელიც ნებაყოფლობით და უანგაროდ გასცემს სისხლს ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად; ხაზგასმა რეგულარული დონორების მნიშვნელობისთვის; ცნობიერების დონის ამაღლება სისხლის უანგარო, რეგულარული დონაციების საჭიროების შესახებ; სისხლის უანგარო დონორის სოციალური ღირებულების ხაზგასმა; მოტივაციის ამაღლება ჯანმრთელ ადამიანებში, გახდნენ სისხლის უანაგრო დონორები; ახალგაზრდების წახალისება, გახდნენ სისხლის უანგარო დონორები. მოუწოდონ გარშემომყოფებს სისხლის უანგარო დონორობისაკენ და წვლილი შეიტანონ უანგარო, რეგულარული დონორობის პოპულარიზაციაში.

მედიის განვითარება და საარჩევნო პროცესების გაშუქების ახალი მიდგომები

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

სასტუმრო „შერატონ ბათუმში" მედიასთან თანამშრომლობის ახალი ფორმატის ფარგლებში, რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის ორდღიანი კონფერენცია ჩატარდა თემაზე „მედიის განვითარება და საარჩევნო პროცესების გაშუქების ახალი მიდგომები". უსკოს, ცესკოსა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლები ჟურნალისტებს ელექტრონული საპილოტე არჩევნების შედეგებზე ესაუბრნენ

შეხვედრა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძემ, უსკოს თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონიამ და ევროპის საბჭოს არჩევნებისა და თანამონაწილეობითი დემოკრატიის განყოფილების ხელმძღვანელმა მარკუს ადელსბახმა გახსნეს.

კონფერენციის პირველ დღეს გიორგი შარაბიძემ 29 აპრილის შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარადგინა. მან მედიის წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული არჩევნებისას მიღებული გამოცდილების, მიგნებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე, ისაუბრა მედიის განსაკუთრებულ როლზე ამომრჩეველთა ინფორმირების, საარჩევნო გარემოს განვითარებისა და ელექტრონული საშუალებების ფართოდ დანერგვის პროცესში.

- საარჩევნო ადმინისტრაცია აგრძელებს ჩართულ მხარეებთან შეხვედრას იმ მნიშვნელოვანი პლატფორმების მეშვეობით, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა კარგ ტრადიციად. მოგეხსენებათ, რომ 2024 წელს ქვეყანაში არჩევნები ჩატარდება ახალი წესით, როდესაც ამომრჩევლის რეგისტრაცია და ხმის მიცემა იქნება ავტომატიზებული, ამაში აღარ ჩაერევა ადამიანური ფაქტორი და შესაბამისად, ჩვენი სურვილია, ამ ცვლილებების შესახებ ჩვენს მთავარ მოკავშირეებთან, რომლებადაც განვიხილავთ მედიასაშუალებებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, შევქმნათ ისეთი ტიპის სამუშაო პლატფორმები, სადაც თქვენთვის საჭირო ინფორმაციებზე გექნებათ წვდომა. ჩვენ თუ შევძლებთ დავიჯეროთ, რომ არჩევნები საერთო საქმეა და ყველა ჩვენს წილს გავიღებთ, დარწმუნებული ვარ, ეს დადებითი შედეგის მომტანი იქნება. ასე რომ, 2024 წლის არჩევნებამდე კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია. შესაბამისად, ჩვენ მედიის წარმომადგენლებს ვესაუბრებით იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვას, გამოწვევებსა და მიღწევებს ამ პროცესში, ვაცნობთ ამ მიმართულებით შუალედური არჩევნების შედეგებს და ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა და როგორ შეიძლება უკეთესად იყოს დაგეგმილი მომავალში, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გიორგი შარაბიძემ. მანვე კონფერენციის მიმდინარეობისას არჩევნების დროს გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიების დემონსტრაცია გაიმართა, სადაც ჟურნალისტებმა თავად მიიღეს მონაწილეობა იმიტირებულ კენჭისყრაში.

ევროპის საბჭოს ექსპერტმა რასტო კუზელმა ისაუბრა თემებზე, როგორიცაა სოციალური მედიის და ციფრული ტექნოლოგიების გავლენა არჩევნების სანდოობაზე, დეზინფორმაციასა და მის ზეგავლენაზე საარჩევნო პროცესებზე, მედიის როლსა და ჟურნალისტების უსაფრთხო სამუშაო გარემოზე. საინტერესო დისკუსია გაიმართა მომხსენებლებსა და მედიის წარმომადგენლებს შორის.

კონფერენციის მეორე დღეს მედიის წარმომადგენლები საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული კომუნიკაციების გეგმას, ასევე, ცნობიერების ამაღლებისა და ამომრჩეველთა განათლების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ.

ღონისძიება ცესკოს და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) ორგანიზებით, ევროპის საბჭოს (CoE) პროგრამის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში" მხარდაჭერით გაიმართა.

კონფერენცია, რომელშიც რეგიონული მედიის 25-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, ევროპის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. შეხვედრას მოდერაცია ევროპის საბჭოს პროექტის უფროსმა ოფიცერმა მაია ჯორჯიკიამ გაუწია.

ამაგდარებს მოეფერნენ

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლის დირექციისა და მრჩეველთა საბჭოს ორგანიზებით, ამაგდარი მასწავლებლებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

წარმატებულ პედაგოგებს ნარიე დეკანაძეს, ოთარ ჩოგაძესა და ზურაბ კოჩალიძეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, მერის მოადგილე თამაზ აბაშიძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისთვის სიგელები გადასცეს და უანგარო მუშაობისთვის მადლობა გადაუხადეს.

ამაგდარ მასწავლებლებს სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები მიესალმნენ.

როგორი პასუხები მიიღო ქართველმა მეცნიერმა პროდასავლელი რუსი პოლიტიკოსებისგან?

ბრიუსელის კონფერენცია – სტრუქტურული დიალოგი, ახალი შესაძლებლობა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ამას წინათ ბრიუსელში გამართულმა კონფერენციამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია დასახული მიზნებისა და აქტუალობის გამო. კონფერენციაში რუსეთის პროდასავლელი პოლიტიკოსები და ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ

ამ ღონისძიებაზე მიწვეული იყო საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“, რომელსაც წარმოადგენდა საჯარო მმართველობის დოქტორანტი, ბსუ-ის ლექტორი ***ბიბა შარტენაძე,*** *რომელმაც რუს პოლიტიკოსებს კითხვები დაუსვა. აღნიშნულ შეხვედრაზე რა საკითხებს განიხილავდნენ და რა მნიშვნელობა აქვს ბრიუსელის კონფერენციას? - ამის შესახებ გვესაუბრება ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი.*

- ბრიუსელში გამართულ კონფერენციაში რუსეთის პროდასავლელი პოლიტიკოსები და ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რას ეძღვნებოდა ეს შეხვედრა და ვისი თაოსნობით ჩატარდა?

- კონფერენცია სახელწოდებით THE DAY AFTER ინიციირებული და ორგანიზებული იყო ევროპარლამენტში მოქმედი ოთხი პოლიტიკური ჯგუფის მიერ. ფაქტობრივად, აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს პუტინის რუსეთის დამარცხების განვითარება მოსკოვში და რუსეთში დემოკრატიული ძალების ხელისუფლებაში მოსვლის სხვადასხვა სტრატეგია. ბრიუსელის დიალოგის კონფერენცია - ეს არის ახალი შესაძლებლობა, სტრუქტურული დიალოგი რუსეთის დემოკრატიულ ძალებს (იძულებით მიგრაციაში მყოფი არასამთავრობო ორგანიზაციები, ომის მოწინააღმდეგეები, მედიის წარმომადგენლები, ოპოზიციის ლიდერები) და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის. იგი ხელს უწყობს ამ ძალებს, წარმოადგინონ ურთიერთთანამშრომლობის წინადადებები, სამოქმედო გეგმები, ასევე, დაამყარონ რეგულარული ორმხრივი კონტაქტები ურთიერთობის გასაღრმავებლად.

- ჩვენი ქვეყნიდან ვინ ესწრებოდა ამ კონფერენციას?

- ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამწუხაროდ, გამიჭირდება, დავადასტურო საქართველოდან აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილე სხვა პირების თუ ორგანიზაციების ჩართულობა, თუმცა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ მიწვეული იყო, რომელსაც მე წარმოვადგენდი.

- ამ კონფერენციაზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „ევროპული ალიანსი საქართველოსთვის“ აქტივობა რაში ვლინდება?

- „ალიანსის“ (დამფუძნებელი - თეონა ლავრიშვილი და თანადამფუძნებელი - რომან შტრასე) მიზანია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, ასევე, ქართველი ახალგაზრდებისთვის ახალი შესაძლებლობების კარის გაღება. რაც შეეხება აქტივობას, უნდა აღინიშნოს, რომ ბრიუსელში დაგეგმილი იმ შეხვედრების უმრავლესობა, რომლებიც ეხება გაფართოების პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობას, კავკასიის რეგიონს, შავ ზღვას, კონკრეტულად, უკრაინისა თუ მოლდოვის საკითხებს, „ალიანსის“ ყურადღების არეალშია და ყველა ფორმატს იყენებს, რომ შანსი შესაძლებლობად ვაქციოთ და საქართველოს შესახებ ხმა ისმოდეს ისეთ ღონისძიებებზეც კი, სადაც ოფიციალური ქართული დელეგაცია არ იმყოფება. ჩვენ ადვოკატირებას ვუწევთ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს და აქტიურად ვმონაწილეობთ ბრიუსელში გამართულ ღონისძიებებში, ვიცავთ ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის ინტერესებს.

- კონკრეტულად რა საკითხები განიხილებოდა კონფერენციაზე?

- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, დისკუსია დაყოფილი იყო ცხრა პანელად და 90-მდე მომხსენებელმა სიტყვით მიმართა კონფერენციის 500-მდე მონაწილეს. დისკუსიები, ძირითადად, ფოკუსირებული იყო რუსეთის მომავალი დემოკრატიული ტრანფორმაციის ორ სტრატეგიულ მიდგომაზე: რუსი დემოკრატების უნარი და შესაძლებლობა ამ სტრატეგიის განსახორციელებლად და ევროკავშირის სტრატეგია - მხარი დაუჭიროს რუსი ხალხის ძალისხმევას საკუთარი ქვეყნის გარდაქმნისთვის. განვიხილეთ ტრანსფორმაციის სამ პერიოდად: ტრანსფორმაციის მზადება; რეფორმები ტრანსფორმაციის შემდეგ; რუსეთში აღდგენილი საპარლამენტო დემოკრატიის სტაბილიზაცია.

- მართლაც ძალიან საინტერესო და მისასალმებელია, კონფერენციის მიზანი - დიალოგის დაწყება ევროკავშირსა და რუს პროდასავლურ, პროდემოკრატიულ წარმომადგენლებს შორის, ამ მხრივ რა ითქვა? აზრთა სხვაობა თუ შეინიშნებოდა ამა თუ იმ საკითხზე?

- კონფერენციაში მონაწილე რუსი ოპოზიციონერი ლიდერები, მედიის, სამოქალაქო აქტივისტები თუ ორგანიზაცია „თავისუფალი რუსეთის“ წარმომადგენლები აგრძელებენ პოლიტიკურ ბრძოლას პუტინის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ დევნის, პატიმრობისა თუ გადასახლების მიუხედავად და ერთად მუშაობენ ქვეყანაში დაბრუნების სტრატეგიაზე. მათი საერთო მესიჯი: ისინი მკაცრად გმობენ პუტინის რუსეთის ბრუტალურ, კრიმინალურ ომს უკრაინის წინააღმდეგ და ამ ომში რუსეთი უნდა დამარცხდეს. უკრაინის გამარჯვება მათ ახალი, დემოკრატიული რუსეთის დაბადების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. რაც შეეხება აზრთა სხვადასხვაობას, ძირითადად, გამოიკვეთა საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკასა და ამ ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რაზეც უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბროთ.

- ძირითადად რა შეკითხვებს უსვამდნენ რუს პოლიტიკოსებს?

- რუსი დემოკრატების გაერთიანების აუცილებლობაზე და ამ კუთხით მათ სტრატეგიაზე, ასევე ნავალნის ჯგუფის წარმომადგენლთა კონფერენციაში არმონაწილეობასა და ამის გამომწვევ მიზეზებზე (უნდა აღინიშნოს, რომ ნავალნის პარტიის არცერთი წარმომადგენელი არ ყოფილა ამ შეხვედრაზე, რაც იწვევს სპეკულაციებს ოპოზიციური ძალების ერთიანობასთან დაკავშირებით), რუსეთის ახალი თაობის პოლიტიკოსების ხედვაზე სხვადასხვა საკითხის ირგვლივ, რეჟიმის დამარცხების და შეცვლის შემდეგ ბიუროკრატიული აპარატის ტრანსფორმაციაზე და სხვა.

- როგორც ვიცი, თქვენც დაუსვით კითხვები რუს პოლიტიკოსებს...

- როგორც აღვნიშნე, კონფერენცია შედგებოდა ცხრა პანელისგან. რომლებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან შინაარსით, მომხსენებლებითა და სპიკერებით, თუმცა ყველა პანელი, საბოლოოდ, დემოკრატიული რუსეთის ფორმირების და ამისთვის სამოქმედო გეგმის სტრატეგიის შემუშავებას ისახავდა მიზნად. სამწუხაროდ, ცხრა პანელის არცერთ მონაწილეს სიტყვით გამოსვლისას არ უსაუბრია კონკრეტულ გზებზე - როგორი სტრატეგია აქვთ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების უკან წაღებასა და საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ბოლო პანელის („რუსეთის ახალგაზრდა თაობის ხედვა დემოკრატიული რუსეთის მშენებლობის შესახებ“) მონაწილეებს დავუსვი ორი შეკითხვა: 1. როგორ ხედავენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების საკითხს იმ ფონზე, რომ ის ოკუპირებულია რუსეთის მიერ? 2. მხარს უჭერენ თუ არა საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას? სამწუხაროდ, მათ მიერ გაცემული პასუხი უფრო იმედის გამაცრუებელი აღმოჩნდა, პირდაპირი და სწორხაზოვანი განცხადებები, რასაც სრულიად ცივილიზებული სამყარო ელოდებოდა, ვერ მივიღეთ. მათ პასუხებზე ჩემი კომენტარი ასეთი იყო: დემოკრატიული რუსეთის ფორმირება წარმოუდგენელია ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების უკან წაღების და რუსული ჯარის სხვა ქვეყნების სუვერენული ტერიტორიებიდან გაყვანის გარეშე.

- როგორც აღნიშნეთ, 90-მდე მომხსენებელმა სიტყვით მიმართა დისკუსიის 500-მდე მონაწილეს, რომელმა გამომსვლელმა დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

- საინტერესო იყო ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტის კატარინა ბარლეის, ნობელის პრემიის ლაურეატების - დიმიტრი მურატოვისა და დიმიტრი დავიდისის, ასევე მიხეილ ხადარკოვსკის (ომის საწინააღმდეგო კომიტეტს წარმოადგენს), ევგენი კარა-მურზას (ცნობილი რუსი ოპოზიციონერი ლიდერის კარა-მურზას მეუღლეა) მოხსენებები. გამოვყოფდი ასევე გარი კასპაროვის სიტყვას, რომელიც გამოირჩევა თავისი ანტიპუტინისტური, ანტისაომარი, საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის მხარდამჭერი განცხადებებით, ასევე - ალექსი არესტოვიჩის სიტყვას.

- ცხადია, უკრაინის ომზეც იქნებოდა საუბარი, რას ამბობენ ამ თემაზე, რუსეთის მომავალზე როგორი ხედვები აქვთ?

- ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ 90-მდე მომხსენებელს აქვს საერთო მესიჯი: უკრაინის გამარჯვება, ანუ პუტინის დამარცხება ამ ომში ახალი, დემოკრატიული რუსეთის შექმნის პირობაა. გამომსვლელები სთხოვდნენ დასავლეთს, მიაწოდოს ყველა იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც უკრაინა ითხოვს, ასევე გააფართოონ ეკონომიკური სანქციები, მათ შორის პერსონალურიც და პუტინის რეჟიმი ტრიბუნალს გადასცენ.

- რუსული პროდასავლური ძალები, როგორც ითქვა, ეწინააღმდეგებიან რუსეთის აგრესიას უკრაინაში, მაგრამ რა გარანტია არსებობს, რომ მომავალში ისინიც პუტინის მსგავსად არ მოიქცევიან?

- რუსეთისგან რაიმე გარანტიების მიღება და დაჯერება, რა თქმა უნდა, რთულია, მაგრამ რაც დღეს რუსეთში ხდება და პუტინის რეპრესიულმა რეჟიმმა მის საწინააღმდეგოდ რომ განაწყო საზოგადოების დიდი ნაწილი, ეს იმედის მომცემია. ის ფაქტიც, რომ 2023 წლის 30 აპრილს ბერლინში რუსეთის დემოკრატიულმა ძალებმა ხელი მოაწერა ხუთპუნქტიან დეკლარაციას (მხარს უჭერს ათი ათასობით რუსეთის მოქალაქე), ამ იმედის ერთ-ერთ ხელჩასაჭიდ გარემოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს დეკლარაცია ემსახურება რუსეთის ოპოზიციის ღირებულებების, მიზნებისა და საშუალების სტრატეგიის საფუძველს დემოკრატიული ცვლილებების განსახორციელებლად.

- ვიდრე დასავლეთი მსჯელობს, მათ შორის კონფერენციებზე, მანამდე რუსეთმა კახოვკის ელექტროსადგური ააფეთქა...

- კახოვკის ელექტროსადგურის აფეთქებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ რუსეთი უკრაინასთან ბრძოლაში პირწმინდად მარცხდება. კონტრშეტევის შეფერხების სურვილი შეგვიძლია დავასახელოთ აღნიშნული ფაქტის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. რუსეთს აღარ აქვს უნარი, ბრძოლის ველზე გაუწიოს წინააღმდეგობა უკრაინის არმიას და იყენებს ისეთ მახინჯ პრაქტიკას, რომელიც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია. ეს არის ტეროროიზმი უდანაშაულო ხალხის მიმართ და ეკოციდი. რუსეთის მიზანია, როგორმე შეძლოს და გადაირჩინოს საკუთარი თავი. უკრაინის კონტრშეტევას, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დროებით შეაფერხებს, მაგრამ აუცილებლად ვიხილავთ, ეს ქვეყანა ბოროტებაზე საბოლოო გამარჯვებას როგორ იზეიმებს.

- დაბოლოს, ახალ მსოფლიო წესრიგში - უკრაინის ადგილი?

- დღეს გლობალური და უსაფრთხოების წესრიგი უკრაინის გამარჯვებაზეა დამოკიდებული, უკრაინას უკვე ენიჭება განსაკუთრებული ადგილი ამ წესრიგის დამყარებაში. დასავლეთს, წინა წლებთან (2008, 2014) შედარებით, ეს კარგად აქვს გააზრებული და სწორედ ამიტომაც გვაქვს უპრეცედენტო ერთიანობა ამ ბოროტების შესაჩერებლად. ომის გეოპოლიტიკურ შედეგებს თუ განვსაზღვრავთ, უკრაინა გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი, რაც უკვე ტექტონიკური ძვრების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იქნება თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების დამყარებისთვის.

> ***სამწუხაროდ, ცხრა პანელის არცერთ მონაწილეს სიტყვით გამოსვლისას არ უსაუბრია კონკრეტულ გზებზე - როგორი სტრატეგია აქვთ ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების უკან წაღებასა და საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით***

უცხოეთი

უკრაინას სამხედრო ალიანსისკენ მიმავალ გზაზე შესაძლოა, გარკვეული დაბრკოლებები მოუხსნან, - განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა. მისი თქმით, აშშ მზადაა, ნება დართოს კიევს უარი თქვას ნატოს წევრობის კანდიდატის მოსაპოვებლად საჭირო ოფიციალურ პროცედურაზე, რომელიც წარსულში სხვა ქვეყნებისთვის სავალდებულო იყო. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მხარს უჭერს ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის წინადადებას, რომ უკრაინას არ სჭირდება MAP-ი, ის ომის შემდეგ უკრაინის ნატოში გაწევრიანების გზის შემსუბუქებას ემხრობა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი მზადაა ნებისმიერი კონტაქტისთვის და უკრაინის პრობლემის მოგვარების ვარიანტების განხილვისთვის. მისი მტკიცებით, „უკრაინის პრობლემა“ სხვადასხვა გზით შეიძლება მოგვარდეს. „ვლადიმერ პუტინი მხარს უჭერს ნებისმიერ იდეას, რომელიც მიზნად ისახავს ამ კონფლიქტის მოგვარებას, მათ შორის, ის მიესალმება მომავალ კონტაქტებს აფრიკის ქვეყნების ლიდერებთან“, - აღნიშნა პესკოვმა. შეგახსენებთ: აფრიკის რამდენიმე ქვეყნის ლიდერები, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით დიპლომატიური ვიზიტის ფარგლებში, უკრაინაში ჩავიდნენ. ისინი რუსეთსაც ეწვევიან. აფრიკის სამშვიდობო მისია შედგება სამხრეთ აფრიკის, ზამბიის, კომორის, კონგოს რესპუბლიკის, ეგვიპტის, სენეგალისა და უგანდის ლიდერებისგან.

* * *

საბერძნეთის სანაპიროებთან მიგრანტების ნავის ჩაძირვის შედეგად სულ მცირე 79 ადამიანი დაიღუპა. ქვეყნის მთავრობამ, მომხდარი ტრაგედიის გამო, სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. ნავზე მყოფი 100-ზე მეტი ადამიანი გადაარჩინეს, თუმცა ისინი ამბობენ, რომ ბორტზე კიდევ ასობით მიგრანტი იმყოფებოდა. ნავი ლიბიიდან იტალიაში მიდიოდა. მედიის ინფორმაციით, სანაპირო დაცვის სამსახურმა მიგრანტებთან კონტაქტი რამდენჯერმე დაამყარა და დახმარება შესთავაზა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს. მომხდართან დაკავშირებით, სამართალდამცავებმა ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი სამი პირი დაკითხეს.

* * *

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელ რაფაელ გროსის განცხადებით, რუსეთის მიერ კონტროლირებად ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე ვითარება სერიოზულია, თუმცა სადგურს შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში უსაფრთხოდ მუშაობა. გროსიმ ევროპის უდიდესი ატომური ელექტროსადგურის მდგომარეობა გასულ კვირას კახოვკის კაშხლის განადგურების გამო შეამოწმა. მისი თქმით, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები ადგილზე დარჩებიან.

* * *

ჩრდილოეთ კორეამ მცირე რადიუსის ორი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, რომლებიც იაპონიის ექსკლუზიური ეკონომიკური ზონის საზღვრების გადაკვეთის შემდეგ იაპონიის ზღვაში ჩაცვივდა. ჩრდილოეთ კორეამ რაკეტები ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯო ბაიდენის მრჩეველ ჯეიკ სალივანის ტოკიოში, იაპონელ და სამხრეთკორეელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ გაუშვა.

მოამზადა
ია შველიძემ

თორნიკე რიჟვაძე: კანდიდატის სტატუსიც, ევროპული პერსპექტივაც გვჭირდება იმისთვის, რომ ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, როგორც აქამდე

პირველი გვერდიდან

- მგონია, რომ ხელისუფლება აღნიშნული მიმართულებით ძალიან ცუდად იქცევა, არასწორ და რუსეთისთვის მაამებლურ ნაბიჯებს დგამს, რითაც შეურაცხყოფს საუკუნეების განმავლობაში გაღებულ იმ სისხლს, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ოჯახში დაბრუნებისკენ. მჯერა, იმ მიზანს, რისთვისაც ჩვენი წინაპრები დაუღალავად იბრძოდნენ, აუცილებლად მივაღწევთ და გავხდებით ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი, - განაცხადა გიორგი კირთაძემ.

კოლეგების გამოსვლები კომენტარის გარეშე არ დაუტოვებიათ მმართველი გუნდის დეპუტატებს. მათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მმართველობაში ყოფნის პერიოდი გაახსენეს და იმაზე გაამახვილეს ყურადღება, თუ როგორ ეპატიჟებოდა რუს ხალხს 2008 წლის ომის შემდეგ მათი მთავრობა საქართველოში.

- დიახ, რუსეთი ოკუპანტია, გეთანხმებით, საქართველოს ოცი პროცენტი 2008 წელს გააფორმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთზე. დიახ, დღესაც გრძელდება ოკუპაცია და მანამდე იქნება რუსეთი ოკუპანტი, სანამ ტერიტორიებს არ დავიბრუნებთ. თქვენ, „ნაციონალურ მოძრაობას“ იმის დანახვაც გიჭირთ, რაც რეგიონში რეალურად კეთდება და რა მიღწევებიც გვაქვს. მთელი საქართველო უნდა ამაყობდეს იმით, რაც ხდება ბოლო პერიოდის განმავლობაში, ეს არის ნაბიჯები, რომელიც მართლა გვაახლოებს ევროკავშირს, - განაცხადა ტიტე არაშიძემ.

დეპუტატების განცხადებების შემდეგ ტრიბუნასთან აჭარის მთავრობის თავმჯდომარე წარსდგა. თორნიკე რიჟვაძემ გამოსვლა ამერიკაში, კონკრეტულად კი მაიამიში თავისი ვიზიტის შეფასებით დაიწყო და აღნიშნა, რომ ეს არის ჩვენი ქალაქის კიდევ ერთი წარმატება და შედეგი, რაც ავტონომიური რესპუბლიკისა და აქ მცხოვრები ადამიანების საკეთილდღეოდ კეთდება.

- ეს არის ძალიან პრესტიჟული საერთაშორისო აღიარება, რომელიც კიდევ ერთხელ აჩვენებს იმ საქმეს, რომელსაც ჩვენი გუნდის თითოეული წევრი მუხლჩაუხრელად აკეთებს ამ რეგიონისთვის. სამწუხარო და გულდასაწყვეტია, რომ საერთაშორისო აღიარებასთან მიმართებაში ერთსულოვნები არ ვართ. იმ დროს, როცა ჩვენი დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, პირდაპირი, მტრული მოწოდებები კეთდებოდა, რომ მაქსიმალურად ხელი შეშლოდა ამ ვიზიტს. მოვახერხეთ როგორც უმაღლესი თანამდებობის პირები, ასევე, ამერიკელი პარტნიორები დაგვერწმუნებინა, რომ საქართველო რჩება მათ სტრატეგიულ, ერთგულ მოკავშირედ. და მაშინ, როცა მე ვარწმუნებდი ჩვენს პარტნიორებს, რომ კიდევ უფრო მეტი პირდაპირი ინვესტიცია უნდა განეხორციელებინათ როგორც საქართველოში, ასევე აჭარაში, ბათუმში, ამ დროს დამაჯერებლობით მიდიოდა მტკიცება მთელი რიგი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული მედიის მხრიდან, რომ თითქოს ჩვენ კადიროველ მებრძოლებს ვუმასპინძლეთ. მინდა გითხრათ, რომ ესეც არის იმ ნარატივის გაგრძელება, რასაც თქვენ აკეთებთ უკვე 19 წელია, 9+10, შესაბამისად, გამოცდილებაც უკვე ძალიან დიდი დაგიგროვდათ.

იცით, ამ ვიზიტის პარალელურად, ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობდით, რომ ის სანუკვარი მიზანი, რომელიც არის ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობა, სწორედ ჩვენი ხელისუფლების დროს მოვიდეს სრულ მოქმედებაში. „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველომ მიიღო უვიზო მიმოსვლა. დარწმუნებული ვარ, ხალხი ამას ჯეროვნად აფასებს. გავაგრძელებთ წინსვლას როგორც ევროკავშირის მიმართულებით, ასევე, მაქსიმალურად დავიცავთ ჩვენს სუვერენიტეტს იმ სამშვიდობო პოლიტიკის დამსახურებით, რომელსაც ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის და მთლიანად სახელისუფლებო გუნდის მეშვეობით. ჩვენ აუცილებლად შევძლებთ ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას და გამთლიანებას, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარის ინფორმაციით, 2022-2023 წლებში, სხვადასხვა მიმართულებით, აჭარაში დაიწყო და გაგრძელდა მასშტაბური და მოსახლეობაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება.

- აჭარაში მიმდინარეობს უპრეცედენტო მასშტაბის სოციალური პროექტები: შენდება „ოცნების ქალაქი“, პირველ ეტაპზე, ბინა 582 ოჯახს გადაეცემა. უკვე დაიწყო მეორე ეტაპის განხორციელება. აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სოციალური სახლების მშენებლობა. დაიწყო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც 3000 ოჯახს საცხოვრისის პრობლემა მოუგვარდება. გაიზარდა ეკომიგრანტთა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დაფინანსება. ტურიზმის აღდგენის დინამიკა აჭარაში უპრეცედენტოა, გაორმაგდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებიც. გრძელდება აჭარისა და ბათუმის საერთაშორისო აღიარება. ბათუმის სტადიონმა საუკეთესო საჯარო შენობის მსოფლიო ტიტული მოიპოვა, 2023 წელს ბათუმის სტადიონი 21-წლამდელთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალს მასპინძლობს, ამავე წელს ბათუმი World Travel Awards-ის გალა ღონისძიების მასპინძლობისთვის ემზადება. ყველა მუნიციპალიტეტში ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. მაღალმთიან აჭარას საველოსიპედე ბილიკი შეემატა, ეწყობა ხიხანის ციხეზე ასასვლელი ბილიკი, ვითარდება ინფრასტრუქტურა ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე. მაჭახელას ხეობაში გაიხსნა ტურისტული ცენტრი, მომზადდა კანიონინგის ტურისტული ინფრასტრუქტურა. ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ინფრასტრუქტურა მოეწყობა. აჭარაში, ასევე, ვითარდება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს 80 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასრულდა 5 სკოლისა და სპორტდარბაზის მშენებლობა. ბათუმში, განათლების ქალაქში დასრულდა ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მშენებლობა. შენდება 5 სახელოვნებო სკოლა, აშენდება 1000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი. გრძელდება ათასობით სტუდენტის სწავლის, სტაჟირებისა და პრაქტიკის დაფინანსება. აჭარაში ხორციელდება მასშტაბური სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტები: დასრულდა ბათუმის საფეხბურთო სტადიონისა და ბათუმის უნივერსალური სპორტკომპლექსის მშენებლობა, დასრულდა შუახევის FIFA-ს სტანდარტების საფეხბურთო მოედანი. დასკვნით ეტაპზეა ჩაქვში ძალოსნობის ბაზის მშენებლობა, მიმდინარეობს ჩაქვის სარაგბო სტადიონისა და ღორჯომის სპორტული დარბაზის მშენებლობა. დაიწყო მაჭახელას საფეხბურთო სტადიონის, ქედის სასპორტო კომპლექსის და „ბეთლემის“ საფეხბურთო მოედნის პროექტის განხორციელება. 2023 წელს იწყება ისეთი მნიშვნელოვანი სპორტული პროექტების განხორციელება, როგორებიცაა: ბათუმის ყინულის არენა და საცურაო აუზი, ქობუ-ლეთის სასპორტო კომპლექსი, ხელვაჩაურის სასპორტო კომპლექსი, ბათუმის საჩოგბურთო კორტები, ფურტიოს და ხუცუბნის სარაგბო მოედანი და ჭადრაკის სასახლე. გაიზარდა სპორტის, სპორტული ფედერაციებისა და სპორტსმენების დაფინანსება. აქტიურად მიმდინარეობს ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია.

ძველ ბათუმში განხორციელდა არაერთი ავარიული ძეგლის რეაბილიტაცია, გრძელდება ხელოვანებისა და კულტურული პროგრამების მხარდაჭერა. „განახლებული რეგიონების პროგრამის“ ფარგლებში, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის სამრეწველო ზონის განვითარება და ხორციელდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

სრულად განახლდა ბათუმის ავტოპარკი, განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. მიმდინარეობს ბათუმის შემოვლითი გზის მშენებლობა, ხულო-გოდერძის დამაკავშირებელი ისტორიული გზის სრული რეაბილიტაცია. მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტის ფარგლებში, 12 000-მდე ოჯახი ბუნებრივი აირით ისარგებლებს.

კურორტ გოდერძიზე 28 საინვესტიციო პროექტი ხორციელდება, ჯამური ინვესტიცია 200 მლნ ლარს შეადგენს, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

თავის გამოსვლაში მთავრობის თავმჯდომარე, ასევე, შეეხო ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროგრამებს, რომლებითაც არაერთმა ადამიანმა ისარგებლა.

- ჩვენი მთავარი ამოცანაა, ძალიან მშვიდად, თანმიმდევრულად გავაგრძელოთ ქვეყნისა და რეგიონის სტაბილური განვითარება და სწორედ ამ მშვიდობისა და სტაბილურობის ხარჯზე კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ, გავაერთიანოთ ჩვენი ქვეყანა. ილუზია არ გვაქვს და არც იმის თვითკმაყოფილების მაღალი ხარისხი, რომ ყველაფერი იდეალურად არის, თუმცა მერწმუნეთ, რომ ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით ძალიან ბევრი წარმატება გვაქვს. ბევრ წარმატებას, რა თქმა

უნდა, ახლავს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და ჩვენ გავაგრძელებთ საზოგადოების სამსახურში ყოფნას, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

სიტყვის დასრულების შემდეგ თორნიკე რიჟვაძემ დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც არაერთ აქტუალურ თემას შეეხებოდა, მათ შორის: სიღარიბეს, უმუშევრობას, ფასების ზრდას, ქვეყნიდან ადამიანების გახშირებულ გადინებას, მედიკამენტებისა და პროდუქტის მაღალ ფასებს, ნაგავსაყრელს, ხულო-გოდერძის გზას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ასე შემდეგ.

როგორც სხდომის დასაწყისში, ასევე, სხდომის მიმდინარეობისას და დასასრულ იყო სიტყვიერი შეურაცხყოფები, სხვადასხვა პოზიციაზე მყოფმა დეპუტატებმა ერთმანეთის მისამართით კვლავ გააჟღერეს არაერთი ბრალდება.

- მინდა მოგისამძიმროთ, მაგრამ არ ვწუხვარ, რომ იმარჯვებს ჩვენი ქვეყანა, თქვენ პირწმინდად აგებთ და მომავალშიც შეგიძლიათ გვენდოთ. უკიდურესი მხდლები და ლაჩრები გვიწოდეთ, თუ თქვენ მოგეცით საშუალება, ოდნავ მაინც დაიბრუნოთ ძალაუფლება. კანდიდატის სტატუსიც, ევროპული პერსპექტივაც გვჭირდება იმისათვის, რომ ვემსახუროთ ჩვენს ხალხს, როგორც აქამდე, - მიმართა დასკვნით სიტყვაში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს მთავრობის თავმჯდომარემ.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა მთავრობის თავმჯდომარეს წარდგენილი ანგარიშისთვის, ასევე ოპოზიციონერ კოლეგებს, რომლებმაც მოახერხეს და ბოლომდე დარჩნენ სხდომაზე.

- ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ არ ვიტყვი არაფერს, გარდა ერთისა: მეტი პოლიტიკური ჰიგიენა გვჭირდება ალბათ ყველას ერთად და რაღაც ფორმით ამას უნდა მივაღწიოთ. როგორც აღმოჩნდა, ყველას გვინდა ევროკავშირი და ის ხალხიც იმას გვთხოვს მხოლოდ, რომ შევძლოთ ერთმანეთთან ნორმალური საუბარი, რასაც, როგორც ჩანს, ვერ ვახერხებთ, - აღნიშნა დავით გაბაიძემ, რომელმაც საქართველოს ჰიმნის თანხლებით საგაზაფხულო სესია დახურულად გამოაცხადა.

ლევან კილაძე – საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წლებია, ჭვანის საჯარო სკოლას სათავეში უდგას ***ლევან კილაძე.*** *ქვეყნის, აჭარის პედაგოგიური საზოგადოება მას იცნობს, როგორც ნოვატორ ხელმძღვანელს, მრავალი ღონისძიების ორგანიზატორს, თაობების დამკვალიანებელს, ღირსეულ კოლეგასა და მეგობარს. მისი შრომა, სასკოლო რეფორმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება ქვეყნისა და რეგიონის განათლების სისტემის ხელმძღვანელებმა სათანადოდ დააფასეს, რაც საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებით დაადასტურეს.*

- ბატონო ლევან, რამდენად ელოდით ამ საპატიო წოდებას?

- პირველ რიგში, მადლობა თქვენს გაზეთს, რომელმაც წლების განმავლობაში ჩემი სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობა წარმოაჩინა. სკოლის აღდგენიდან საუკუნოვანი იუბილე რომ გადავიხადეთ, მკითხველამდე მიიტანეთ. ჩემი ინიციატივით, საღამოებს ვუმართავთ იმ მასწავლებლებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ჭვანის სკოლაში იმუშავეს, არც ეს და არც სხვა აქტივობა უყურადღებოდ არ დაგიტოვებიათ. რაც შეეხება მოლოდინს, თუ ადამიანი მინდობილ საქმეს, დაკისრებულ მოვალეობას გულისხმიერებით მიუდგები, შედეგიც არ დააყოვნებს. არასდროს მიმუშავია ვინმეს საამებლად ან თავის წარმოსაჩენად. სკოლა, რომელსაც ახლა ვხელმძღვანელობ, ჭვანის ხეობაში, თუნდაც აჭარის მთიანეთში გამორჩეული საგანმანათლებლო კერა იყო და ახლაც ასეა. ყველამ, ვინც მას უხელმძღვანელებს, საქმე ისე უნდა აკეთოს, რომ მომავალი თაობა მისი საქმიანობით კმაყოფილი იყოს.

- დღემდე ასე მოდიხართ, რაც დაფასდა კიდეც...

- შუახევში რიგით მეორე პედაგოგი ვარ, რომელსაც საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ ეს საჯაროდ მაშინ განაცხადა, როცა დაწყებითი კლასების მასწავლებელს, მწერალს, მხატვარსა და ყოფილ სპორტსმენს დაბადებიდან 75 და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი საქმიანობის 50 წლის იუბილეს ვუხდიდით. იმ დარბაზში კოლეგები, მოსწავლეები, საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ, ყველამ საჯაროდ მომილოცა. მთავარი დიპლომის, სამკერდე ნიშნის გადმოცემა კი არაა, მთავარი ამ აღიარების გამართლებაა. მალე 60 წელს მივუკაკუნებ. მინდობილ საპასუხისმგებლო პოსტს მაშინ უნდა შეეელიო, როცა ყველაფერი კარგადაა. საქმეს თავს რომ ვეღარ გაართმევ, აღარც შენს წინა საქმიანობას აქვს ფასი და აღარც პირად ავტორიტეტს.

- წინამორბედები ასე ფიქრობდნენ?

- მათ კარგი სახელი, ავტორიტეტი დატოვეს აღსაზრდელებში, კოლეგებსა და საზოგადოებაში. ლევან, ზაირა სანიკიძეების, ახმედ მსახურაძის, მიხეილ ქათამაძის საქმიანობა სამაგალითო იყო, მათ თაობებს ცოდნის მწვერვალებისკენ გზა გაუკვალეს. მოსწავლეთა კონტინგენტი ახლა მცირდება, თორემ იყო წლები, როცა სკოლაში 300-350 ბავშვი სწავლობდა. შორეული ნაღვარევიდან, ინწკირვეთიდან, ბრილიდან და ვანიდან ჩამოსული ჭაბუკები და ქალიშვილები საშუალო განათლებას აქ იღებდნენ. მათ შემდგომ წლებშიც სწავლით, კეთილსინდისიერი შრომით საპატიო სახელი მოიხვეჭეს. ხშირად ვავლებ თვალს სკოლის ისტორიას. პირველ კურსდამთავრებულთაგან უმრავლესობა 85 წელსაა მიტანებული, ბევრიც წუთისოფელში აღარაა. ისინი და მომდევნო თაობებიც ჭვანის სკოლას ცოდნის ტაძარს უწოდებდნენ. მათ წინაშეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას. საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება ადრეც იყო, მაგრამ აქ მომუშავე ასობით მასწავლებლიდან არავის მინიჭებია. ამ წოდებას გამართლება უნდა.

- ნორმალური მატერიალური ბაზა, კვალიფიციური პედაგოგიური კადრები - რამდენად შეუწყობს ეს ხელს, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები განახორციელოთ?

- საგნის მცოდნე, პასუხისმგებლიანი მასწავლებლის გარეშე სასკოლო რეფორმა შეუძლებელია. მსოფლიოს დამორჩილებასა და დაპყრობაზე მეოცნებე ალექსანდრე მაკედონელმა მის მასწავლებელ არისტოტელეს ერთხელ არ მოუსმინა და შემდეგ სანანებელი გაუხდა. ჩემს კოლეგებს მოვუწოდებ, მაქსიმუმი გააკეთონ, რომ აღსაზრდელებს მათი სჯეროდეთ. თითოეული ჩვენგანი წუხდა, რომ სასკოლო რეფორმის გატარებისკენ მოგვიწოდებდნენ და მასწავლებლის შრომა მატერიალურად, თუნდაც მორალურად, არ ფასდებოდა. მასწავლებელთა სერტიფიცირებამ, წამყვანი, უფროსი და მენტორი მასწავლებლის სტატუსის შემოღებამ, ხელფასების მატებამ მასწავლებლად მუშაობის ინტერესი და სურვილი გაზარდა. ბაგა-ბაღების სოფლებში გახსნა დიდი და კეთილშობილური საქმეა. მოსწავლე, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებაში აღიზარდა, საგაკვეთილო პროცესს ადვილად ეგუება. წარჩინებული მოსწავლე ეროვნული დარგის წარმატებული სპეციალისტია. წინა საუკუნის 90-იან წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში არსებულმა კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა ყველაზე მეტად სკოლები დააზარალა. არავინ კითხულობდა, ამ ტიპის უმაღლეს სასწავლებელში ვინ ეწყობოდა, ვინ ამთავრებდა. შემდეგ სკოლაში მათ დასაქმების სისტემის მესვეურნი მწვანე შუქს ყოველგვარი სერტიფიცირებისა და ცოდნის შემოწმების გარეშე უნთებდნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების პროგრამებით, დღეს სკოლებში მცოდნე, სისტემას, რეფორმას მორგებული ახალგაზრდა პედაგოგები მოდიან. სკოლის ხელმძღვანელს მათთან მუშაობა მახალისებს. მთავარია, მასწავლებელმა თავად ისწავლოს, რომ შემდეგ სხვას ასწავლოს. წინა საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი სკოლების კურსდამთავრებულები, დიდი კონკურსის მიუხედავად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ირიცხებოდნენ, მისი დასრულების შემდეგ მშობლიური სოფლის, ხეობის სკოლებს კვალიფიციურ სპეციალისტებად

> ***„იყო წლები, როცა ახლანდელი ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში საშუალო სკოლა მხოლოდ ჭვანაში იყო. ახლა სამსაფეხურიანი საჯარო სკოლები გვაქვს ჭალაში, ახალდაბაში, წყაროთასა და ჭვანაში. ოჯახთან, მშობლებთან თუ კონტაქტი არ გექნება, შვილს სხვაგან ასწავლის. ჩემთვის უპირველესია, ქვეყანას ღირსეული მოქალაქე გავუზარდო. საამაყოა, რომ დირექტორად მუშაობის 17 წლის განმავლობაში არც მოსწავლე და არც კურსდამთავრებული საბრალდებო სკამზე არ მომხვდარა***

- ოჯახის როლს როგორ აფასებთ?

- ოჯახებთან, მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობას განსაკუთრებულად და სათუთად ვეპყრობი. ახლა სკოლაში 51 მოსწავლეა. გაისად 5 პირველკლასელს ველოდებით. იშვიათია ოჯახი, რომელსაც არ ვიცნობ, მათთან მეგობრული და მეზობლური დამოკიდებულება მაქვს. რაც შეეხება ჩემს ოჯახს - მეუღლე მაგული დავითაძე ჭვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმია. ხშირად მძიმე ავადმყოფთან უბრუნდებოდნენ. მათ მაშინ არც ასეთი მატერიალური ბაზა და არც ხელშეწყობა ჰქონდათ. მინდობილი საქმისადმი სიყვარული და პატივისცემა მაშინაც დაადასტურეს, როცა პედაგოგის შრომის ანაზღაურება კუპონებით ხდებოდა.

- ოჯახის როლს როგორ აფასებთ?

- ოჯახებთან, მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობას განსაკუთრებულად და სათუთად ვეპყრობი. ახლა სკოლაში 51 მოსწავლეა. გაისად 5 პირველკლასელს ველოდებით. იშვიათია ოჯახი, რომელსაც არ ვიცნობ, მათთან მეგობრული და მეზობლური დამოკიდებულება მაქვს. რაც შეეხება ჩემს ოჯახს - მეუღლე მაგული დავითაძე ჭვანის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ექიმია. ხშირად მძიმე ავადმყოფთან საკუთარი ტრანსპორტით მიმყავს. ესეც ერთგვარად მაახლოებს ოჯახებთან. იყო წლები, როცა ახლანდელი ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში საშუალო სკოლა მხოლოდ ჭვანაში იყო. ახლა სამსაფეხურიანი საჯარო სკოლები გვაქვს ჭალაში, ახალდაბაში, წყაროთასა და ჭვანაში. ოჯახთან, მშობლებთან თუ კონტაქტი არ გექნება, შვილს სხვაგან ასწავლის. ჩემთვის უპირველესია, ქვეყანას ღირსეული მოქალაქე გავუზარდო. საამაყოა, რომ დირექტორად მუშაობის 17 წლის განმავლობაში არც მოსწავლე და არც კურსდამთავრებული საბრალდებო სკამზე არ მომხვდარა. ეს სკოლის, ოჯახის, პედაგოგის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

- კარგ მეგობრადაც გთვლიან...

- ჩვენი გვარი ჭვანის ხეობაში რამდენიმე ოჯახს ითვლის. ნაღვარევი, ჟანივრი, ბარათაული, ტაკიძეები და ვარჯანაულია ჩვენი სამოსახლო. 1972 წელს სოფელ ნაღვარევიდან 30 ოჯახი საცხოვრებლად კახეთში გადავიდა. მათი წინამძღოლი დიმიტრი კილაძე იყო. იქ საცხოვრისი მიუჩინეს თუ არა, სოფლის ბრძენ კაცს ესტუმრა და ჰკითხა, ვისთან შეიძლებოდა მეგობრობა. კილაძეებს ერთგული მეგობრობა წესად გვაქვს ქცეული. მე ედუარდ გოგრაჭაძის, ამირან ბერიძის, თემურ ზოიძისა და დავით ნაკაშიძის გარეშე ცხოვრებას, შრომას ფუჭად ჩავთვლიდი. ჩვენ ინტელექტუალურ თამაშშიც კი ერთი გუნდი ვართ და წარმატებებიც გვაქვს.

- თქვენზე ამბობენ, გაკვეთილებს ისტორიულ ძეგლებთანაც ატარებსო...

- ამ წამოწყებას ხეობაში სათავე პოეტმა შოთა დიასამიძემ დაუდო და ჩვენც სიამოვნებით ვაგრძელებთ. ოთოლთას ციხეზე მოსწავლეები რომ მიმყავს, ვახსენებ ბაზალეთის ომს, გიორგი სააკაძის ეპოქის ავბედითობას. იმ ხანად, როცა დიდი მოურავი თურქეთში წავიდა, გარკვეული დროით ოთოლთას ციხეში იმყოფებოდა, რომელიც მაშინ როსტომ შალიკაშვილის გამგებლობაში იყო. ოთოლთას ციხიდან კარგად მოსჩანს კავიანის (ხიჭაურის) ციხე. ეს საფორტიფიკაციო ნაგებობა კი მეტწილად სასიგნალო დანიშნულების იყო. ბუნებაში, ისტორიულ ძეგლებთან გაკვეთილების ჩატარებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

უკრაინა

აშშ, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და დანია უკრაინას საჰაერო თავდაცვის ასობით რაკეტას მიაწვდიან. ამის შესახებ ოთხი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი. ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, უკრაინა „ახლო და საშუალო მანძილის ასობით რაკეტასა და შესაბამის სისტემებს“ მიიღებს. კიევისთვის რაკეტების გადაცემა უკვე დაიწყო და რამდენიმე კვირაში დასრულდება. თავდაცვის მინისტრები აღნიშნავენ, რომ საჰაერო თავდაცვის სისტემები და რაკეტები საჭიროა „უკრაინის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ეროვნული ინფრასტრუქტურის დასაცავად და უახლოეს თვეებში კონტრშეტევითი ოპერაციების შემდგომი წარმატების უზრუნველსაყოფად“.

* * *

რამდენიმე ქვეყანამ უკრაინის წინაშე თავისი ვალდებულებები გააქტიურა. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივანმა ლოიდ ოსტინმა ბრიუსელში „რამშტაინის“ ფორმატში მე-13 შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „კანადამ უკრაინისთვის მხარდაჭერის პაკეტისთვის კიდევ 500 მილიონი დოლარის გამოყოფის ვალდებულება აიღო, რაც საჰაერო თავდაცვის 200-ზე მეტ კრიტიკულად მნიშვნელოვან რაკეტას მოიცავს, რომლებიც უკრაინის ცის დაცვაში შეიტანენ წვლილს“, - განაცხადა ოსტინმა. მან ასევე აღნიშნა, რომ აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, ნიდერლანდებმა და დანიამ ფულადი წვლილი შეიტანეს უკრაინის საჰაერო თავდაცვისთვის საზენიტო რაკეტების შესაძენად. აშშ-ის თავდაცვის მდივნის თქმით, კიდევ რამდენიმე მოკავშირემ უკრაინის გრძელვადიან დახმარებაზე დაიწყო ფიქრი.

* * *

უკრაინის საჰაერო თავდაცვის ძალებმა, რუსების მიერ საჰაერო თავდასხმის დროს გაშვებული Shahed-ის 20-ვე დრონი, 4 ფრთოსანი რაკეტიდან ერთი და Orlan-10 ტიპის სადაზვერვო დრონი გაანადგურეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია საჰაერო ძალებზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, რუსული ძალები უკრაინას X-101/X-555 ტიპის ფრთოსანი რაკეტებით, ასევე Shahed -136/131 დრონებით დაესხნენ თავს. რაკეტები Tu-95ms ტიპის სტრატეგიული თვითმფრინავებით კასპიის ზღვიდან გაუშვეს. ერთ-ერთი რაკეტა უკრაინელებმა გაანადგურეს, დანარჩენი კი დნეპროპეტროვსკის ოლქში სამრეწველო ობიექტებს მოხვდა. უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალებში აცხადებენ, რომ რუსებმა დრონები ჩრდილოეთ და სამხრეთ მიმართულებიდან გაუშვეს და უკრაინელებმა ყველა მათგანი გაანადგურეს. გარდა ამისა, უკრაინელმა დამცველებმა Orlan-10 ტიპის სადაზვერვო დრონი გაანადგურეს, რომელიც საჰაერო დაზვერვას აღმოსავლეთის მიმართულებით ახორციელებდა.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებმა კონტრშეტევითი ოპერაციების შედეგად რუსი ოკუპანტებისგან 100 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია გაათავისუფლეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ოლექსი გრომოვმა განაცხადა. მისი თქმით, უკრაინის თავდაცვის ძალები ზაპოროჟიეს მიმართულებით აგრძელებენ უკრაინის ქალაქებისა და დასახლებების ოკუპანტებისგან გაწმენდას. უკრაინელმა სამხედრო მაღალჩინოსანმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელებმა ზაპოროჟიეს მიმართულებით, სოფელ ტოკმაჩკასთან ახლოს, 3 კილომეტრით წინ წაიწიეს, დონეცკის მიმართულებით, სოფელ ველიკა ნოვისილკასთან კი 7 კილომეტრამდე.

* * *

ესპანეთი უკრაინას 20 ჯავშანტრანსპორტიორს, საველე ჰოსპიტალს და Leopard 2A4 ტიპის 4 ტანკს გადასცემს, - ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა მარგარიტა რობლესმა განაცხადა. უკრაინისთვის განკუთვნილი ჯავშანტრანსპორტიორები პოლონეთში 19 ივნისს ჩავა. საველე ჰოსპიტლის გადაცემამდე უკრაინელი სამხედროები ესპანეთში შესაბამის მომზადებას გაივლიან. „უკრაინა იბრძვის სამართლიანი საქმისთვის და ამიტომ მათ აქვთ ჩვენი ყველანაირი მხარდაჭერა არა მხოლოდ აღჭურვილობის გაგზავნაში, არამედ უკრაინელი მებრძოლების წვრთნაში. ჩვენი ვალდებულება, მხარი დავუჭიროთ უკრაინას სრული, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობისკენ სწრაფვაში, მტკიცე დარჩება, სანამ ეს საჭირო იქნება“, - აღნიშნა რობლესმა „რამშტაინის“ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე.

* * *

უკრაინის რამდენიმე ოლქში, მათ შორის კიევის ოლქსა და დედაქალაქ კიევში საჰაერო განგაშია გამოცხადებული, - ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. „საჰაერო შეტევა გრძელდება! საჰაერო თავდაცვა მუშაობს ოლქში, კიევის მისადგომებთან. დარჩით თავშესაფრებში საჰაერო განგაშის დასრულებამდე!“, - აცხადებენ დედაქალაქის საქალაქო-სამხედრო ადმინისტრაციაში. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრეი ერმაკი მოქალაქეებს მოუწოდებს, ყურადღებით მოეკიდონ საჰაერო განგაშს. უკრაინის საჰაერო ძალების ინფორმაციით, რუსებმა ჩრდილოეთის მიმართულებით „კალიბრის“ ტიპის რამდენიმე ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს. „არ უგულებელყოთ საჰაერო თავდასხმის მაუწყებელი განგაშის სიგნალი!“, - აცხადებენ უკრაინის საჰაერო ძალებში.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

სახალხო მთქმელს პატივი მიაგეს

შაქირ (ყაჭო) ზოსიძე შუახეველი სახალხო მთქმელი იყო. ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, რომ მის კალამს ეკუთვნის: „გოგოვ, გოგოვ კისკისავ“, „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „შევარდენი ამოფრინდა“, „მე რომ გოგო მინდოდა“, „წვიმა წვიმს და ნამი არა“... ეს ცალფა შაირები უკვე დამკვიდრებულია ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარებში

შაქირ ზოსიძე 130 წლის წინ დაიბადა, ცხოვრობდა სოფელ ჯაბნიძეებში. მან 85 წელი მარტოობაში გაატარა და შთამომავლობა არ დარჩენია. სიცოცხლე ჯაბნიძეების მეზობელ სოფელ ცინარეთში დაასრულა, თაყვანისმცემლების გარემოცვაში. სიკვდილის წინ საყვარელ შაირებს იმეორებდა.

შაქირ ზოსიძეს აჭარაში მოღვაწე ცნობილ მელექსე-მოშაირეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც მისი გამორჩეული პოეტური ქმნილებებითაა განპირობებული. იგი მხოლოდ ცალფა შაირების მთხზველი და შემსრულებელი იყო. უმეტესად, სატრფიალო ხასიათის შაირებს თხზავდა და თავისივე მელოდიით მღეროდა. შაქირს ყაჭო იმიტომ შეარქვეს, რომ მხოლოდ მხიარულ, ლაღ შაირებს ხალისით, მომღიმარი (გაყაჭული) სახით ასრულებდა. მისი შემოქმედება საზოგადოებას პირველად მწერალმა ემენ დავითაძემ გააცნო წიგნში „ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო“. შაქირის შემოქმედება შეტანილია „ხალხური პოეზიის ანთოლოგიაში“. მწერალმა, პროფესორმა ნიაზ ზოსიძემ მისი შემოქმედება სათანადოდ დააფასა და მის საპატივცემულოდ, დაბადებიდან 130 წლისთავზე, გზამკვლევი ბროშურა „ყაჭო“ გამოსცა...

ჯაბნიძეებში ყაჭოს თანასოფლელების, საზოგადოების თანდასწრებით მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

საღამოს წამყვანმა, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ, შაქირის ახლობელმა ნოდარ ზოსიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა ოთარ ცინარიძემ სახალხო მთქმელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრეს. პოეტმა ცისანა ანთაძემ ყაჭოსადმი მიძღვნილი ლექსი „სულში ედგა ქარტეხილი“ წაიკითხა, რომელსაც ამ ინფორმაციის ბოლოს გთავაზობთ.

საღამოს მონაწილეებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე მიესალმნენ. შაქირ ზოსიძის ლექსები, სიმღერები გააცოცხლეს ჯაბნიძეების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ „მარეთის“ წევრებმა.

ღონისძიების მონაწილეებმა შაქირ ზოსიძის საფლავი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

სული ჰქონდა ავსებული
ლექსითა და მზიებითა;
სიყვარულის თასი შესვა
სოფელ ჯაბნიძეებიდან.
სიყვარულის ცა დახატა,
ისეთი, რომ ვერვინ წაშლის,
„ლამაზ გოგვებს“ გაუგორა
ვერ იპოვა „კისერ-ტყეში“
ოქრო, ვერცხლი და ლალიო,
ვერც ქორწილი გადიხადა,
აუფრინდა ალალიო.
ჰქონდა ერთი ახორ-კარი,
ცული ჰქონდა გატეხილი,
ქალამანი გაცვეთილი,
სულში ედგა ქარტეხილი.
სკივრით ერგო ჭრელი წინდა,
არ ჰქონია ერდო-ბანი;
იყო მცნობი სილამაზის
და ბავშვების მეგობარი.
„ჩეგურის ძაფი“ გაუწყდა,
უჩონგუროდ უსტვენდაო;
ბულბული და იადონი
გატრუნვილი უსმენდაო.
ქალს ვერ კადრა, მთებს შესძახა,
სიტყვა სულში თქმულისაო,
„მე რომ ლექსი დაგიმღერე,
კვნესა იყო გულისაო.“
ცას მოსტაცა ოქრო-სიტყვა,
ღირსი ლექსის ბინადარი -
„წელიწმინდა“, „ლერწამტანა“,
„ქერიბანი“, „ცინადარი“.
სხალთით მაღლობს გადმოსძახა,
აბულალებ-ლალებიო,
არცა მიწა დავამძიმე,
არც მიმყვება ვალებიო.
პოეტებო, ვერ ამოხვალთ
მისი სულის ვალებიდან...
...რომ არ შეეწუხებინეთ,
წავიდა და გაგერიდათ.
ნეტავ წესი ვინ აუგო?
თვალები ვინ დაუხუჭა?
აუყვავდეს ჯიშ-ჯილაგი,
თეთრია თუ თმახუჭუჭა.
ფრინავს თეთრი ბუმბულივით,
ამდენი მზე საიდან?
ჩაუქროლა თამარის ხიდს,
აკანკალებს ზღვასავითა.
ჰქონდა ერთი ახორ-კარი,
ცული ჰქონდა გატეხილი,
ქალამანი - გაცვეთილი,
სულში ედგა ქარტეხილი.
მისი სიტყვის საუნჯიდან
წილი მეც მხვდა. მასულდიდა
და ეს ლექსიც მათქმევინა
ამ დალოცვილ მამულიდან.
ნიჭიერო, გხედავ, ბარე
სული ასგზის ამეწვება,
სიყვარული დაგადევნე,
იფრინე და დაგეწევა!...

ორი რეგიონის სკოლები დამეგობრდნენ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის თემურ ზაქარაძის სახელობის საჯარო სკოლამ არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა მიმდინარე სასწავლო წელს

ამ აქტივობების გვირგვინი იყო სპორტის მასწავლებელ ირაკლი ბერიძის ინიციატივით გამართული სპორტული ღონისძიება დევიზით: „მეგობრობა გზად და ხიდად“, ღონისძიების თანახელმძღვანელები იყვნენ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაყვალა ზაქარაძე და ისტორიის მასწავლებელი გენადი ტაკიძე. ხარაულის სკოლის ფრენბურთელები ასპინძის რაიონის სოფელ ოშორის სკოლას ეწვივნენ, სადაც წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან აჭარის მთიანეთიდან გადასულები სახლობენ. მთავარი მასპინძლები იყვნენ ოშორის საჯარო სკოლის დირექტორი დავით კობერიძე და სპორტის მასწავლებელი სოსო ნათენაძე.

ოშორისა და ხარაულის სკოლების ფრენბურთელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს, მოეწყო პოეზიის საღამოც.

ხარაულის საჯარო სკოლის დირექტორმა მურმან ზაქარაძემ მასპინძლებს საჩუქრად სკოლის მენტორი მასწავლებლის თამაზ აბულაძის წიგნები გადასცა, ოშორის სკოლამ კი ხარაულის საჯარო სკოლას კედლის საათი უსახსოვრა.

განსაკუთრებული იყო მეათეკლასელთა ემოციები, რომლებმაც წელს შეისწავლეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და იმ მიწაზე იყვნენ, სადაც დიდი რუსთაველი დადიოდა და წერდა გენიალურ პოემას. მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მესხეთ-ჯავახეთის ღირსშესანიშნაობები: ზარზმის მონასტერი, ვარძია, ხერთვისის კომპლექსი, რაბათის ციხე, ერეკლეს ხიდი, მონათა ბაზარი.

ორდღიანი გასვლითი ღონისძიება მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა, სკოლებს შორის ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება. სექტემბერში ხარაულის სკოლა უმასპინძლებს ოშორელებს.

ხარაულელთა საინტერესო მოგზაურობა სკოლის დირექციამ დააფინანსა.

მთებში მისასვლელ გზებს აწესრიგებენ

აჭარის მთიანეთის მეცხოველეებმა უკვე გადარეკეს ალპურ საძოვრებზე პირუტყვი. სამი თვის განმავლობაში მეცხოველეები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად, მესხეთის, აჭარა-შავშეთისა და აჭარა-გურიის ქედების კალთებზე არსებულ ტერიტორიაზე დარჩებიან

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების ძალისხმევით, თოვლის ნამქერისა და ნარჩენებისგან გაიწმინდა თითქმის ყველა იალაღზე მისასვლელი გზები.

- თვითმმართველობის, საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები ხულოს, შუახევის სამსახურების სპეციალისტებთან ერთად, აჭარა-გურიის, აჭარა-შავშეთის ქედებზე არსებულ ზოტიყელის, კიკიბოს, ჩირუხის იაილებში მისასვლელი საავტომობილო გზების მოწესრიგების სამუშაოებს ვაკვირდებოდით. მექანიზატორებმა დიდი შრომა გასწიეს და უკვე ყველა გზა მოწესრიგებულია, - გვითხრა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე როლანდ ბოლქვაძემ.

დონაციის აქცია – ხულოში

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხულოს ადგილობრივი ფილიალის ორგანიზებითა და ბათუმის სისხლის ბანკის „ჰემა 2012“-ის თანამშრომლობით, სისხლის უანგარო დონაციის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში, აქცია გაიმართა

- ეს დღე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2005 წელს დააარსა, მისი მიზანია ცნობიერების ამაღლება უსაფრთხო სისხლისა და სისხლის პროდუქტების მნიშვნელობასა და საჭიროებაზე და უანგარო, რეგულარული დონორების კრიტიკულად მნიშვნელოვან როლზე ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

მუსიკის შექმნისას გარე სამყარო ავიწყდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენს მკითხველს ახალგაზრდა ბათუმელი მუსიკოსი ***ჯუდა ქარ-ციშაძე,*** *იგივე „ქარცი“ გვინდა უფრო ახლოს გაგაცნოთ. როგორც თავად გვითხრა, სურდა, ქირურგი გამხდარიყო, სამედიცინოზეც ჩაბარა, მაგრამ საბოლოოდ, ცხოვრება მაინც მუსიკას დაუკავშირა. საკუთარ მუსიკას სხვადასხვა კლუბსა თუ ბარში უკრავს.*

- რამდენი ხანია, რაც ამ სფეროთი დაინტერესდით?

- 10 წლის წინ, 17 წლის ასაკიდან დავიწყე მუსიკის წერა. მანამდე 7 წელი ქართული ცეკვის ანსამბლში ვცეკვავდი და მუსიკასთანაც ახლოს ვიყავი. სულ მინდოდა, ძველი ქართული მელოდიების თანამედროვე ვერსიები შემექმნა და ამ მხრივაც ვაკეთებდი რაღაცას. ჩემი უფროსი ძმა, ბექა, დიჯეი იყო. თავად წერდა მუსიკას და სხვადასხვა კლუბში უკრავდა. კომპიუტერთან როცა იჯდა და მუსიკას წერდა, მივუჯდებოდი და ვაკვირდებოდი. მერე მე ვიკავებდი ადგილს კომპიუტერთან და ისეთ რაღაცებს ვაკეთებდი, ბექას უკვირდა კიდეც. შემდეგ რამდენიმე მელოდიის შექმნაში დამეხმარა და როცა დაინახა, რომ ამის ნიჭი მქონდა, მირჩია, დამოუკიდებლად მემუშავა ამ მიმართულებით. რომელიმე ცნობილი დიჯეის მუსიკას ავიღებდი და მისი ანალოგის შექმნას ვცდილობდი. ამით მუსიკის დაწერის ტექნოლოგიას ვხვეწდი. შემდეგ უკვე დამოუკიდებლად ვქმნიდი მუსიკას და ნელ-ნელა ვვითარდებოდი.

- ყოველთვის შეგიძლიათ მუსიკის შექმნა თუ რაიმემ უნდა გიბიძგოთ ამისკენ?

- მუსიკის წერის პირველი წლები საჩუქარი იყო, რადგან მაშინ პროცესში შესვლა არ მჭირდებოდა, ის, უბრალოდ, ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო და მასში შევისეირნებდი და გამოვისეირნებდი ხოლმე. იმ წლებმა შემაყვარა ეს პროცესი. შემდეგ, როგორც ყველაფერში, სწავლობ სამართავ მექანიზმებს, იქმნი გარემოს და შინაგანი მდგომარეობით აწყობ ისე, რომ შესაძლებელი გახდეს, მოსწყდე გარე სამყაროს. მუსიკის შექმნისას არაფერი უნდა გახსოვდეს, შეეცადო ხელი გამოჭკრა იმ უხილავ ძაფებს, რომლებიც შემოქმედებით პროცესში მოგახვედრებენ. ადრე მეგონა, რომ თავს არასდროს დავატანდი ძალას, რადგან ეს საჩუქარი უბრალოდ მომეცა, თუმცა, როგორც კი ბავშვებს საჩუქრებს ართმევ, ისინი კარგად მოქცევას იწყებენ და ყველაფერს შვრებიან იმისთვის, რომ ის საჩუქრები ისევ მოიპოვონ. მეც ვისწავლე, რომ ეს ოთახი, სადაც ფიქრის და შექმნის პროცესი ხდება, არსად მიდის, უბრალოდ, მასში შესაღწევად დისციპლინა და შრომა მჭირდება. ხშირად „ლამაზ ადგილებში მოგზაურობა“ გვჭირდება იმისთვის, რომ ფიქრი დავიწყოთ, შთაგონება და ძალა მივიღოთ...

- როცა ამ შემოქმედებას ეზიარეთ, ელოდით, რომ თქვენი შემოსავლის წყარო გახდებოდა?

- არ მქონდა გათვლილი, რომ ამით ოდესმე ფულს ვიშოვიდი. ადრე ბევრ ბარ-რესტორანში ვუკრავდი და ანაზღაურებაც საკმაოდ კარგი მქონდა, მაგრამ ძალიან რთულია საქართველოში მუსიკით ფულის შოვნა. საკუთარ მუსიკას ინტერნეტის მეშვეობით სხვადასხვა უცხოურ საიტზეც ვყიდდი, სადაც ცნობილი დიჯეებიც ყიდიან თავიანთ შემოქმედებას. გაყიდვა რომ გადავწყვიტე, ჩემი სტილიდან ამოვვარდი და სულ სხვა ჟანრის მუსიკა დავწერე, რომელზეც მოთხოვნა იყო და იყიდებოდა. რეალურად, სხვა პიროვნება გავხდი, რაც არ მომეწონა და ამის შემდეგ აღარ გამიყიდია. ვფიქრობ, როცა მხოლოდ იმიტომ წერ მუსიკას, რომ ამით ფული იშოვო, ამ დროს არ ხარ გულწრფელი.

- რა მიმართულების მუსიკას ქმნით?

იხ. მე-8 გვ.

რეგულირების სააგენტომ უნდა გადააზღვიროს პაციენტთან დაკავშირებული რისკები და შექმნას უსაფრთხოების პირობები

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების გაზრდასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტს მხარი 75-მა დეპუტატმა დაუჭირა

ცვლილებების პაკეტი განსახილველად ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ წარადგინა. თამარ გაბუნიამ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილების მთავარი მიზანი პაციენტის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მინისტრის მოადგილის თქმით, კონტროლის ეფექტური მექანიზმის შექმნით სამედიცინო მომსახურების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდება, ძლიერი მარეგულირებელი ორგანო და საკანონმდებლო ბაზა კი ერთგვარი პრევენციის მექანიზმი იქნება.

„ჯანდაცვის სამინისტროსა და რეგულირების სააგენტოს აქვთ ვალდებულებები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებაში. რეგულირების სააგენტო იმისთვის ფუნქციონირებს, რომ გადააზღვიროს პაციენტთან დაკავშირებული რისკები და შექმნას უსაფრთხოების პირობები. ეს არის ფუნდამენტი და მთავარი მოტივაცია რეგულირების სააგენტოს საქმიანობის“, - განაცხადა თამარ გაბუნიამ.

დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, რეგულირების სააგენტოს პაციენტის საჩივარზე დაუყოვნებელი რეაგირების შესაძლებლობა ექნება. დღეს მარეგულირებელს პაციენტისადმი გაწეული ხარისხის შესწავლის შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე აქვს, რა დროსაც შეტყობინებას სამედიცინო დაწესებულებაც იღებს. შესაბამისად, იქმნება დოკუმენტაციის მოწესრიგების ან შეცვლის რისკი, რაც ართულებს რეალური სურათის აღდგენას. ცვლილების შედეგად, პაციენტისადმი გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლა უფრო ეფექტურად და ნაკლებ დროში მოხდება. კანონში ჩნდება სამედიცინო დაწესებულებებისთვის ლიცენზიის დროებით შეჩერების მექანიზმი, რასაც სასამართლო დაჩქარებული წესით, 48 საათში განიხილავს. რეგულირების სააგენტოს არ აქვს ბერკეტი კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის პაციენტის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას, დროებით შეუჩეროს კლინიკას ლიცენზია.

ახალი კანონპროექტით იზრდება საჯარიმო სანქციებიც. თამარ გაბუნიას განმარტებით, არსებული სანქციები იმდენად დაბალია, რომ კარგავს პრევენციის ფუნქციას. „ჯარიმის მცირე ოდენობიდან გამომდინარე, კლინიკა მის გადახდას ამჯობინებს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელებასა და ხარისხის გაუმჯობესებას“, - განმარტავს გაბუნია.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დამატებითი დოკუმენტები მოითხოვა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ ხელოვნური კუნძულის მოწყობასთან დაკავშირებული განცხადების განხილვა შეაჩერა და კომპანიას დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მოსთხოვა

წერილში აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ბათუმში ხელოვნური კუნძულის მოწყობას, რომლის ფართობი შეადგენს 108.5 ჰექტარს.

„ამბასადორმა“ სააგენტოს სკოპინგის განცხადებით - ანგარიშით 2023 წლის 29 მაისს მიმართა, თუმცა „წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი“, - მიწერეს კომპანიას სააგენტოდან.

დაგეგმილი საქმიანობა კი, ასევე, წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ ისეთ საქმიანობას, როგორიცაა: „ზღვის ფართობის ათვისება, ხელოვნური კუნძულის, ნახევარკუნძულის და ა.შ . შექმნა“; „10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი“; ასევე „საზღვაო ნავსადგურისა და მასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის საპროექტო განაშენიანების ფართობი 1 ჰექტარზე მეტია“.

„აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის დასახელება თანხვედრაში უნდა იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ საქმიანობებთან“, - წერს სააგენტო კომპანიას. ამავე წერილში ვკითხულობთ: „სკოპინგის ანგარიშით, კუნძულის მოწყობა გათვალისწინებულია შავი ზღვის აკვატორიაში 108,5 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე, ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართობი 144,32 ჰექტარია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებული უნდა იქნეს 144,32 ჰექტარი ტერიტორიის ათვისების საჭიროება. shp ფაილებში ასახულია მხოლოდ 144,32 ჰექტარი ტერიტორიის პოლიგონი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებულია ხელოვნური კუნძულის და ორი ხელოვნური ნახევარკუნძულის მოწყობა, შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს უშუალოდ საპროექტო კუნძულის და ნახევარკუნძულების shp ფაილები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნახევარკუნძულების და კუნძულის ზღვის ტალღების ზემოქმედებისგან დასაცავად, გათვალისწინებულია 3 დამცავი მოლის მოწყობა. აღნიშნული მოლები ასახული უნდა იყოს shp ფაილებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული საკითხების გათვალისწინებით, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ“, - აღნიშნულია „ამბასადორისთვის“ გარემოს ეროვნული სააგენტოდან გაგზავნილ წერილში.

ბათუმში სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის IV საერთაშორისო გამოფენა გაიმართება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

2023 წლის 7-8-9 ივლისს, ბათუმის სპორტის სასახლეში, კომპანია „ექსპო ბათუმის“ ორგანიზებით, სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4 საერთაშორისო გამოფენა გაიმართება

„ექსპო მედ ბათუმის“ მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს ახალი კონტაქტების დამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სამედიცინო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, ერთჯერადი მოხმარების საგნები, სადიაგნოსტიკო აპარატურა, პრევენციული და პოსტდიაგნოსტიკური მკურნალობის საშუალებები, სამედიცინო და ზოგადი მომსახურება, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, IT სისტემები, ორთოპედია, ფიზიოთერაპია-რეაბილიტაცია და სხვა. გამოფენის ფარგლებში, გაიმართება საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია და შეხვედრები.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ეოდოვის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/06/23, 20 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„ლიმპოპო“ – აჭარის რეგიონებში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ფარგლებში, ბავშვთა საესტრადო ხელოვნების სტუდია „ლიმპოპომ“, რომელსაც წელს საიუბილეო თარიღი - დაარსებიდან 30 წელი უსრულდება, 7-14 ივნისის ჩათვლით, აჭარის რეგიონებში გასვლითი კონცერტები გამართა

მათი პირველი მასპინძელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლა (დირექტორი - ციალა კაკალაძე) იყო. თანატოლებით გადაჭედილ დარბაზში ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. მსმენელი ყველა სიმღერას სათანადოდ აფასებდა, მაგრამ გამორჩეულად აჭარულ სიმღერაზე რეაგირებდა აქტიურად და ამ სიამოვნებას, მხურვალე ტაშთან ერთად, ცეკვითაც გამოხატავდა.

შემდეგ სტუდიის წევრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარს ეწვივნენ, სადაც მათ კულტურის ცენტრმა (დირექტორი - ასლან ვარშანიძე) უმასპინძლა. „ლიმპოპოელების“ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს თხილნარის საჯარო სკოლის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის სამსახურისა და რაიონის კულტურის ცენტრების გაერთიანების წარმომადგენლებმა (ქეთევან დევაძე, ნატო შერვაშიძე), რასაც ლიმპოპოელებმა ჩინებული კონცერტით უპასუხეს. მესამე, დასკვნითი კონცერტი „ლიმპოპომ“ ქედის კულტურის სახლში (დირექტორი - ჯამბულ სურმანიძე, მოადგილე - ირაკლი სირაბიძე) გამართა. პატარა ვირტუოზებმა ქედელი მაყურებლის მჭუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ეკატერინე ქაჯაიამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს შესანიშნავი კონცერტისთვის, მათ შორის, ქორეოგრაფებს - ნატო ბერძენიშვილს, ნინო ნიკოლაიშვილს, ვოკალის პედაგოგებს - ინგა ბაკურიძეს, ნატო გოგოტიშვილს, სტუდიის ხელმძღვანელ ლეილა ალექსანდროვას.

25 ივნისს „ლიმპოპო“ ბათუმის ხელოვნების ცენტრში დიდ საიუბილეო კონცერტს გამართავს, სადაც ბათუმელების წინაშე ოცდააწლიან მუშაობას წარმოაჩენს. წარმატება ვუსურვოთ მათ.

მუსიკის შექმნისას გარე სამყარო ავიწყდება

მე-7 გვერდიდან

- რატომღაც ჩემს მუსიკას ვერცერთ ჟანრში ვერ ვხედავ, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ელემენტები აქვს, ყველაზე მეტად ელექტრონიკას წააგავს. ბოლო პერიოდში მუსიკასაც სხვანაირად ვუსმენ. ვცდილობ, ყველაფრიდან ავიღო რაღაც დეტალები, ბევრნაირი მიდგომა და ყღერადობა ვცადო. მინდა, ჩემს ნამუშევრებს სხვადასხვანაირი სტრუქტურა და სტილი ჰქონდეს. ალბათ ეს არის ახლა მთავარი მიზანი როგორც მუსიკის შექმნის პროცესში, ასევე „დიჯეინგში“ მრავალფეროვნება, სხვადასხვანაირი ყღერადობის შერწყმა მთავარია. ჩემთვის ყველაზე საინტერესოა სხვადასხვა ჟანრის ბევრი მელოდიის ისე გამიქსვა, რომ ერთი დიდი მუსიკალური მოგზაურობა გამოვიდეს. სიმართლე გითხრათ, სცენამ უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს მუსიკაზე და უამრავი ახალი რამ მასწავლა. ჩემი აზრით, სიახლის შემოტანა და მსმენელის კომფორტის ზონის დარღვევა მათი განვითარებისთვის აუცილებელია. ბევრი ადგილობრივი არტისტის მხრიდან ბოლო დროს ეს ცოტათი დააკლდა ქალაქს. მგონი, დიჯეის მიზანი ყველაფრის მიღმა სწორედ ესაა. ადგილობრივ კლუბებსა და ბარებში როცა ვუკრავ, ყოველთვის ვცდილობ, ისეთი რამ არ შევთავაზო, რაც ყველას უამრავჯერ გვაქვს მოსმენილი.

- როგორ ფიქრობთ, რითი გამოირჩევა თქვენი შემოქმედება?

- არ შემიძლია საკუთარი შემოქმედების შეფასება. არ ვიცი, რით განსხვავდება ან რით სჯობია სხვას. შეიძლება სულაც არ სჯობდეს. მუსიკაში ჩემს შინაგან სამყაროს ვდებ. ძალიან ცვალებადი ხასიათი მაქვს და ეს ჩემს მუსიკასაც ეტყობა. თავიდან შეიძლება ენერგიულად იწყებოდეს, შემდეგ, შესაძლოა, ხასიათი შემეცვალოს და სევდიან ნოტებზე გადავიდე. თავიდან ბოლომდე ჩემს ემოციებზეა აგებული მელოდიები. რითი გამოირჩევა - მსმენელმა უნდა შეაფასოს.

- სიმღერების წერა თუ გიცდიათ?

- სხვათა შორის, ადრე ლექსებს ვწერდი, შემიძლია სიმღერის ტექსტიც დავწერო თავისი მელოდიით, მაგრამ მუსიკის წერა მირჩევნია. ზოგადად, არ მიყვარს ბევრი საუბარი, არც ემოციების გამოხატვა. შეიძლება რაღაც მეწყინოს და გულზე მომხვდეს, მაგრამ ამას არასოდეს ვამბობ - ყველაფერს მუსიკით გადმოვცემ. ვფიქრობ, ჩემს მუსიკაში ტექსტიც, შინაარსიც და სათქმელიც დევს.

- მუსიკალური განათლება თუ გაქვთ?

- სამწუხაროდ, არა. არც ნოტები ვიცი. პროგრამაში, სადაც მუსიკას ვწერ, ჩვეულებრივი კლავიშებია, რომლებითაც ვაწყობ მელოდიას, მაგრამ ამ ყველაფერს სმენით ვაკეთებ. პიანინოზეც შემიძლია ნებისმიერი მელოდია ავაწყო, მაგრამ - უნოტოდ. გიტარაზეც ვუკრავ, ოღონდ მარცხენა ხელით, რადგან ცაცია ვარ. ზოგს ჰგონია, რომ სიმები მაქვს გადაწყობილი და უკვირთ. სინამდვილეში ასე უფრო მიადვილდება დაკვრა.

- როგორ მუსიკას უსმენთ? არსებობს ალბომი ან არტისტი, რომელსაც ხშირად უბრუნდებით?

- ყველანაირ მუსიკას ვუსმენ. ჟანრობრივი დაყოფა, საერთოდ, არალოგიკურად მიმაჩნია. ჩემთვის არსებობს კარგი და ცუდი მუსიკა და ასეთი შეიძლება ნებისმიერ ჟანრში იყოს.

- საყვარელი დიჯეი თუ გყავთ?

- ერთადერთი, ვინც ბავშვობიდან მომწონდა და სულ ვუსმენდი, იყო „ავიცი“. ძალიან მინდოდა მისი გაცნობა. მხიარულ, მელოდიურ მუსიკას წერდა. თავისი სტილი ჰქონდა. როცა ჩავრთავდი, კარგ განწყობაზე მაყენებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 4 წლის წინ, 28 წლის ასაკში გარდაიცვალა.

- რას გრძნობთ, როცა ასობით ადამიანისთვის უკრავთ?

- ძალიან სასიამოვნოა. მაგ დროს ვაცნობიერებ, რომ რასაც ინატრებ, სრულდება. ამ სფეროში დამწყები რომ ვიყავი, სულ წარმოვიდგენდი, როგორ ვუკრავდი აუდიტორიის წინაშე. ახლა, როცა ეს რეალურად ხდება და ვხედავ, ხალხს ჩემი მუსიკა სიამოვნებს, მახსენდება, როგორ ვოცნებობდი ამაზე ბავშვობაში და მეღიმება. ეს ყველაფერი კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს.

- რისი თქმა გსურთ თქვენი შემოქმედებით?

- უცნაური იქნებოდა საკუთარი შემოქმედებისთვის შტამპი დამერტყა, რაც აიძულებდა ხალხს, კონკრეტული კუთხიდან შეეხედათ მისთვის. რისი „თქმაც მინდა“, არის ინდივიდუალური თითოეული ნამუშევრისთვის, იქნება ეს მისი ატმოსფერო თუ სიღრმე. რა თქმა უნდა, კონკრეტულის - არაფრის.

- ამ სფეროთი რომ არ დაინტერესებულიყავით, რომელ პროფესიას აირჩევდით?

- ალბათ, ექიმი ვიქნებოდი. მქონია შემთხვევა, როცა ვიღაც ცუდად გამხდარა და მისთვის პირველადი სამედიცინო დახმარება გამიწევია. ჩავაბარე კიდეც თბილისში, სამედიცინო ფაკულტეტზე. მინდოდა, ქირურგი გავმხდარიყავი და ოპერაციები მეკეთებინა, მაგრამ დედაქალაქში ცხოვრება რთული აღმოჩნდა, თან ვმუშაობდი და სწავლის გადასახადსაც თავად ვიხდიდი. სამი წელი ვისწავლე და... შემდეგ ვეღარ გავაგრძელე.

- რა არის თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

- ის, რომ ღონისძიებაზე ყველა სტუმარი იყოს კმაყოფილი და საცეკვაო სივრცე არ დაცარიელდეს. სიმართლე გითხრათ, არასდროს ვემზადები წინასწარ, რადგან სცენაზე (საცეკვაო სივრცეში) სტუმრების განწყობითა და ცეკვის სტილით ვხვდები, რა გაბედნიერებთ მათ იმ მომენტში. დიდი პასუხისმგებლობაა, რომ მსმენელის განწყობა და ემოციები შენზეა დამოკიდებული. ბევრს ჰგონია, „დიჯეინგი“ ძალიან მარტივი საქმეა. მეუბნებიან ხოლმე, „რა უნდა, ჯერ ერთ „ტრეკს“ ჩართავ, მერე მეორესო“. არ არის ასე, ტემპი არ უნდა დააგდო, რიტმი შეინარჩუნო... დიჯეი წვეულების ერთ-ერთი მთავარი პერსონაა, ადამიანების განწყობა სრულადაა დამოკიდებული იმაზე, რასაც დაუკრავ.

- დაკვრისას თქვენ უნდა მოარგოთ მსმენელს მუსიკა თუ მსმენელი უნდა მოერგოს თქვენს მუსიკას?

- ზოგადად, მუსიკა, პირველ რიგში, მსმენელისთვისაა, მაგრამ პირველი მსმენელი თავად ხარ. უპირველესად, შენთვის უკრავ, მაგრამ ეგოისტი არ უნდა იყო, მარტო საკუთარ თავზე არ უნდა ფიქრობდე. რა თქმა უნდა, ემოციები უნდა გაიცვალოს შენსა და მსმენელს შორის. ყველა დაკვრას და ყველა ღონისძიებას ყოველთვის სხვადასხვა ემოცია აქვს.

- როგორია ბათუმის ღამის ცხოვრება, რითი ერთობიან, ძირითადად, ახალგაზრდები?

- დღესდღეობით, ბათუმი უფრო ტურისტული სფეროთი არის განვითარებული, რაც მუსიკალურ კულტურაზეც გავლენას ახდენს. ზაფხულში, ძირითადად, კომერციული დაწესებულებებია დატვირთული, სადაც ბიზნესის და ხელოვნების ბალანსი უფრო ბიზნესისკენ იხრება. რაც შეეხება არასეზონურ ბათუმს, შეიძლება ითქვას, ნაკლებად არის განვითარებული კლუბური სცენა. ბევრი ბათუმელი ახალგაზრდა თბილისში გადადის საცხოვრებლად (მათ შორის არტისტებიც). მიუხედავად ამისა, არის რამდენიმე ადგილი, სადაც პერიოდულად შეიძლება იყოს ჩემთვის საინტერესო გარემო.

- მუზა თუ გყოლიათ, ვის გამოც მუსიკა დაგიწერიათ?

- კონკრეტული პიროვნება არ მყოლია. მუზა ჩემი ცხოვრებაა. ნებისმიერი ნივთი ან მოვლენა შეიძლება ისე დავინახო, რომ მასზე მუსიკის დაწერა მომინდეს. ასევე, არ მესმის, მუსიკას შეკვეთით როგორ წერენ. ვერასოდეს დავწერ ასე.

- დაახლოებით რამდენი მელოდია გაქვთ შექმნილი?

- ძალიან ბევრი. სიმართლე გითხრათ, არ დამითვლია. ზოგჯერ, როცა ჩემს სიმღერას ვუსმენ, მიკვირს, რომ ეს მე დავწერე. ხომ ვამბობ, „ქარცი“ სულ სხვა პიროვნებაა-მეთქი, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ჩემს მივიწყებულ მუსიკას თავიდან აღმოვაჩენ, ძველი ემოციები მახსენდება, მაშინდელი, როდესაც იმ მუსიკას ვწერდი. 50-მდე მელოდია, რომლებიც ადრე დავწერე, წამეშალა და გული მწყდება ძალიან.

- რა რჩევას მისცემთ კოლეგებს, დამწყებ ან უკვე შემდგარ დიჯეებს?

- რჩევას ვერავის მივცემ. ყველას თავისი შეხედულება და დამოკიდებულება აქვს ამის მიმართ, მაგრამ ყველაზე მთავარი გულწრფელობაა. ყალბი არ უნდა იყო. გიყვარდეთ, რასაც უკრავთ და აკეთებთ!

- თქვენი აზრით, როგორია მუსიკის მომავალი, რომელსაც ადამიანი ქმნის?

- შინაარსობრივად, მგონია, რომ არაფერი შეიცვლება არა მარტო მუსიკაში, არამედ ზოგადად, ხელოვნებაში და სოციუმში. რაც შეიცვლება და ახალ სახეს იპოვის, არის ფორმა, ტექნოლოგია და თანამედროვე ხელოვანი. ზოგადად, ისტორია ერთგვარ ლუპაშია გამოტარებული და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ლუპას ადამიანები ვქმნით. უცვლელია შინაარსი, ჩვენ უბრალოდ ამ შინაარსს სახეცვლილ სივრცეებში ვათავსებთ, ფორმასა და მიწოდების ხერხს ვუცვლით.

- რას გეგმავთ?

- ეს ერთ-ერთი კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა ძალიან მიჭირს, რადგან დღეს რომ რაღაცას დავგეგმავ, ხვალ შეიძლება ის აღარ მომინდეს. ალბათ, ძალიან ცუდი თვისებაა, მაგრამ ყველაფერი ჩემი ცვალებადი ხასიათიდან მოდის. მაქვს ოცნებები, რომლებსაც აუცილებლად ავიხდენ. მამაჩემი იყენებს ხშირად ამ გამოთქმას - „მე იმ რიგით ჯარისკაცს რა ვუთხარი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს“. ყველა მუსიკოსი და ხელოვანი დიდ წარმატებაზე ფიქრობს, მაგრამ ვისთვის რაა ეს წარმატება? ხუთი წლის წინანდელ დროს რომ შევადარო, შეიძლება ითქვას, წარმატებას უკვე მივაღწიე, მაგრამ შემდგომ როგორ განვვითარდები, ესაა მთავარი.